აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№41 (25.065) შაბათი, 22 - 24 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, ზეგ მოსალოდნელია წვიმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ მუსლიმ მრევლს რამადან ბაირამის დღესასწაული მიულოცა

ბათუმის ცენტრალურ მეჩეთში რამადან ბაირამთან დაკავშირებით სადღესასწაულო ლოცვა შესრულდა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ მუსლიმ მრევლს დღესასწაული მიულოცა.

„გილოცავთ რამადან ბაირამს, დღესასწაულს, რომელიც სიყვარულს, ურთიერთმიტევებას, თანადგომას უკავშირდება. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობით, ტრადიციებისა და რწმენის პატივისცემით ვაძლიერებთ ერთმანეთს, ვაძლიერებთ ჩვენს ქვეყანას! მშვიდობას და კეთილდღეობას გისურვებთ“, - მიმართა მუსლიმ მორწმუნეებს თორნიკე რიჟვაძემ.

სადღესასწაულო ლოცვას აჭარის მთავრობის და უმაღლესი საბჭოს წევრები, ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აჭარის 2023 წლის 3 თვის ბიუჯეტი 118,9 პროცენტით შესრულდა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, „მინისტრის საათის“ ფორმატში, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძეს მოუსმინეს. მომხსენებლის გამოსვლამდე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ მორწმუნეებს აღდგომისა და ბაირამის ბრწყინვალე დღესასწაულები მიულოცა, რის შემდეგაც სხდომათა დარბაზში განცხადებები გაკეთდა.

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა გამოსვლა გასული წლის მცირე შეფასებით დაიწყო

და აღნიშნა, რომ 2022 წელი, ეკონომიკური თვალსაზრისით, საკმაოდ წარმატებული იყო როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბით, რაც შესაბამისი ორნიშნა მაჩვენებლებითაც დასტურდება. მომხსენებლის განცხადებით, უწყების 2022 წლის ბიუჯეტი, დაახლოებით, 116 მილიონ ლარს შეადგენდა, მიმდინარე წლის ბიუჯეტი კი 133 მილიონს აჭარბებს. ამასთან, ფინანსების 65 პროცენტზე მეტი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოდის.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, დასრულებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - სარფის საკურორტო ადგილისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში - გვარასა და მუხაესტატეს ადმინისტრაციული ერთეულების განაშენიანების გეგმების პროექტები, რომლებიც შესაბამის მუნიციპალიტეტებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინა. ასევე, 2022 წლის განმავლობაში დასრულებულია სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ჯაბა ფუტკარაძის თქმით, 2023 წელს დაგეგმილია აღნიშნული ინფრასტრუქტურის განვითარება, გომარდულის სარეკრეაციო ადგილის ინფრასტრუქტურის განვითარება და კურორტ ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მომზადება. ასევე, 2022 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, აჭარისწყლის ტერიტორიაზე, ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრის მშენებლობისა და ზედა ჩხუტუნეთში საზოგადოებრივი მრავალფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა. 2022 წელს დასრულდა ხულოს მუნიციპალიტეტში მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის კეთილმოწყობის მეორე ეტაპი, ასევე, შესრულდა მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის მიმდებარე სეზონური დასახლებებისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგების ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

2022 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.09.876) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამივე ბლოკის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

2023 წლისთვის დაგეგმილია სოციალური სახლის პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოების (582 ბინა) დასრულება და მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

2022 წლის განმავლობაში მოეწყო დაბა ხულო-გოდერძის უღელტეხილის 6 713 გრძ/მ გაზსადენი, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 2022 წლის განმავლობაში განახორციელა 22 სარეკლამო-საინფორმაციო ტური საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რომლის ფარგლებში აჭარის რეგიონს ესტუმრა მედიისა და ტურისტული კომპანიების 133 წარმომადგენელი, მათ შორის, 52 ჟურნალისტი, 25 ბლოგერი და 56 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი. რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 16 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში.

იხ. 22-2 23.

კრიალოსა N იუსი

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი 25 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში მიიღებს, - ამის შესახებ ალიანსის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული. შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ნატოს გენერალური მდივანი ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ.

* * *

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მონაწილეობა მიიღო აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ უკრაინის საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრაში. „შეხვედრაზე უკრაინაში რუსეთის აგრესიის შედეგად შექმნილი ვითარება და ქვეყნისთვის სამხედრო დახმარების გაწევის საჭიროებები განიხილეს. რამშტაინის ფორმატის შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო აშშ-ის მოკავშირეებისა და პარტნიორების წინაშე არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს“, - აცხადებენ საგარეო უწყებაში.

* * *

11 წლის წინ, როდესაც „ქართული ოცნება“ დაარსდა, ბევრს ვერც კი წარმოედგინა, რომ წარსულს ჩაბარდებოდა პოლიტიკური დევნა, ძალადობა, მედიაზე ზეწოლა, საკუთრების ხელყოფა, გამოხატვის თავისუფლების აღკვეთა, პატიმართა არაადამიანური წამება, - აცხადებს „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე და პარტიის დაარსების 11 წლისთავს ეხმაურება. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ პრინციპები უცვლელია - ღირსება, თავისუფლება, სამართლიანობა, მშვიდობა, განვითარება, მდიდარი კულტურისა და ტრადიციების დაცვა.

* * *

11 წლის განმავლობაში სამი რამ მოიტანა „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანაში: კორუფცია, სიღარიბე და რუსეთი, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ. „რას ჰპირდებოდა ხალხს „ქართული ოცნება“? - სამართლიანობის აღდგენას, „კლანის“ დასრულებას, ეკონომიკურ აღმავლობას, სოფლის განვითარებას. უამრავი დაპირება ჰქონდა. არცერთი დაპირება არ შეუსრულებია. სამი რამ გააკეთა მხოლოდ: განამტკიცა „კლანი“ და კორუფცია, მოიტანა სიღარიბე და რუსეთი“, - განაცხადა ვაშაძემ.

* * *

საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი, ეკონომიკის მინისტრს ინტერპელაციის წესით პარლამენტში იბარებს. განცხადება, რომელსაც 13 ოპოზიციონერი დეპუტატი უერთდება, დამოუკიდებელმა დეპუტატმა რომან გოცირიძემ გააჟღერა. მინისტრთან კითხვები ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტთან დაკავშირებით ექნებათ.

მოამზადა
ია შველიძემ

ISSN 2720-8702

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რამაზან ბაირამი მიულოცეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ისლამის მიმდევრებმა 30-დღიანი მარხვა დაასრულეს და ტრადიციული საღვთო დღესასწაული რამაზან ბაირამი მეჩეთებსა და ჯამეებში ლოცვით დაიწყეს. აჭარის მთიანეთის ყველა მოქმედ სამლოცველოებში რიტუალი დილით შეასრულეს.

ლოცვა ქედის, შუახევისა და ხულოს მუფთებმა, მეჩეთებისა და ჯამეების იმამებმა აღავლინეს. მრევლის სიჭარბე იყო ჭვანის მეჩეთში. აქ რიტუალი შუახევის მუფთმა ასლან შარაშიძემ, საქართველოს სამუფთოს დასავლეთ საქართველოს მქადაგებელმა ბეგლარ ქამაშიძემ, ჭვანის მეჩეთის იმამმა შუქრი მგელაძემ შეასრულეს.

ბაირამის ლოცვის დაწყებამდე ჭვანის მეჩეთში მივიდნენ და მუსლიმ მრევლს რამაზან ბაირამი მიულოცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერის მოადგილე გურამ ზოიძემ, ასლან შარაშიძემ და ბეგლარ ქამაშიძემ.

შუახევის, ხულოსა და ქედის თვითმმართველობის ხელმძღვანელები ნიგაზეულის, ფურტიოს, ოლადაურის, ღორჯომის, დეკანაშვილების, ოქრუაშვილების, დიოკნისის, დიდაჭარის, ხიხაძირის, ახოს, გეგელიძეების, ცხმორისის, პირველი მაისის, მეძიბნის, კოლოტაურის მეჩეთებში იყვნენ და მორწმუნეებს ბაირამი მიულოცეს.

- ჩვენი ვალია ამ და სხვა დღესასწაულებზე მეჩეთებში მივიდეთ და ისლამის მიმდევრებს ბაირამი მივულოცოთ დასტურად იმისა, რომ ტოლერანტები ვართ და ყველა აღმსარებლობის მიმდევრებს ერთნაირად ვეფერებით, - გვითხრა დავით გაბაიძემ.

„დასაქმების ფორუმის“ შესახვედრად

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

მიმდინარე წლის 27 აპრილს, ქალაქ ბათუმში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და აჭარის დასაქმების სააგენტოს ორგანიზებით დაგეგმილია მასშტაბური „დასაქმების ფორუმი“. ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და სპეციალისტებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. მათ წარმომადგენლებსა და სპეციალისტებს „დასაქმების ფორუმის“ შესახებ მოსახლეობისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება მოთხოვეს.

დასაქმების ფორუმზე 50-ზე მეტი კომპანიის 2000-მდე ვაკანსია იქნება წარმოდგენილი, რაც ნებისმიერ მსურველს მისცემს შესაძლებლობას, დასაქმდეს მისთვის სასურველი მიმართულებით.

ფორუმი დასაქმების მსურველებს აძლევს შესაძლებლობას, ერთიან სივრცეში მიიღონ ინფორმაცია აჭარის რეგიონის მასშტაბით კომპანიების აქტიურ და მოსალოდნელ ვაკანსიებზე, შერჩეული ვაკანსიის შესახებ ინფორმაციას გაეცნონ უშუალოდ დამსაქმებლისგან და ყველა დეტალი გაიარონ ადგილზე, შეხვდნენ პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებს და მიიღონ ინფორმაცია პროფესიული უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებულ შესაძლებლობებზე, შეიძინონ დამსაქმებელთან გასაუბრების პრაქტიკული გამოცდილება, გაეცნონ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებს, ფორუმის მსვლელობისას მიიღონ მომზადებული რეზიუმეები დამსაქმებელთან წარსადგენად და რჩევები სპეციალისტებისგან.

ელენე ხოშტარია: დღეს პრეზიდენტს აქვს კიდევ ერთი დილემა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

მზად ვართ, გადავიდეთ კონკრეტულ ქმედებებზე, იქნება ეს აქციები, პროტესტი თუ სხვა ფორმა, რომელმაც შედეგად ნიკა გვარამიას შეწყალება უნდა გამოიღოს, - ამის შესახებ „დროას“ ლიდერმა ელენე ხოშტარიამ ბრიფინგზე განაცხადა, რითაც „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის შეწყალების შესახებ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციელოს ნიკა გვარამია. ეს არჩევანი მასზეა. ეს პასუხისმგებლობა მასზეა. მე არ ვაპირებ თხოვნას და მიმართვებს მისდამი, მაგრამ მინდა მივმართო ყველა ორგანიზაციას, პარტიას, ადამიანს, ვინც დღეს ამ კრიტიკულ მომენტში ზრუნავს ჩვენს ევროპულ მომავალზე. დღეს არის ისევ კონსოლიდაციის და მოქმედების დრო. თუ დაველოდებით „ქართული ოცნების“ სხვა ნაწილების შემდეგ, ახლა, პრეზიდენტი როგორ დაკავდება ჩვენი ევროპუ-

ბის მოწოდება შეაფასა. მისი თქმით, აღნიშნული მოწოდების გაუთვალისწინებლობა საქართველოს ევროპული მომავლისთვის კიდევ ერთი ძალიან დიდი დარტყმა იქნება - წერილში მკაფიოდ და მკაცრადაა საუბარი იმაზე, რომ სალომე ზურაბიშვილმა დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს ნიკა გვარამია.

„დღეს პრეზიდენტს აქვს კიდევ ერთი დილემა და არჩევანი - ისევ წავიდეს „ქართული ოცნების“ მიმართულებით და დაუპირისპირდეს მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო და ადამიანის უფლებების ორგანიზაციას, თუ მიიღოს ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება და შეიწყალი მომავლის გათელით, ჩვენ დავკარგავთ ისტორიულ შანსს,“ - თქვა ელენე ხოშტარიამ.

საერთაშორისო ორგანიზაციები სალომე ზურაბიშვილს ნიკა გვარამიას დაუყოვნებლივ შეწყალებისკენ მოუწოდებენ. 10 ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ წერილში ნათქვამია, რომ გვარამიას პატიმრობა საქართველოს პოსტსაბჭოთა ევრაზიის რეპრესიული და ავტორიტარული სახელმწიფოების სიაში აქცევს, რაც უარყოფიად აისახება ქვეყნის იმიჯზე. ერთობლივ განცხადებას ხელს აწერს მათ შორის ჟურნალისტების დაცვის კომიტეტი, ევროპელი ჟურნალისტების ასოციაცია და „ჰუმან რაიოს ვოჩი“.

აჭარის 2023 წლის 3 თვის ბიუჯეტი 118,9 პროცენტით შესრულდა

პირველი გვერდიდან

დაგეგმილია მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების (World Travel Awards Gala Ceremony) 2023 წლის გალა ცერემონიის ორგანიზება.

2022 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილია საკარანტინე ზონების მოწყობა, 2022 წლის განმავლობაში დასრულდა 13 გზის (22.28 კმ) და მიმდინარეობს 11 გზის (27.52 კმ) ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, მათ შორის, 7 გზის (19.25 კმ) მშენებლობა წარმოადგენს მრავალწლიანი შესყიდვის ობიექტს.

2022 წლის განმავლობაში დასრულდა 164 საყრდენი კედლის მშენებლობა-მოწყობა, ხოლო 2023 წლისთვის დაგეგმილია 210 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა, აქედან 32 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია, 143 საყრდენი კედლის მშენებლობა-მოწყობა, 35 დამცავი ნაგებობების და წყალარინების მოწყობა.

2022 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების, განხორციელებული პროექტებისა და მიმდინარე წლის სამი თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის წარდგენის შემდგომ, ჯაბა ფუტკარაძემ უპასუხა დეპუტატების შეკითხვებს, რომელთა ნაწილი სხვადასხვა მიმართულებით საინვესტიციო პოლიტიკას, საშუალოვადიანი ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლებს, მაღალმთიანეთში სტიქიით დაზარალებულთა კომპენსაციებით უზრუნველყოფისა და რეგიონის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს მოიცავდა.

ცალკეული დეპუტატების გამოსვლებისა და შეფასებების შემდგომ, სხდომა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ შეაჯამა.

- დღევანდელი „მინისტრის საათი“ შედგა. ჩვენ მოვისმინეთ ჯაბა ფუტკარაძის ინფორმაცია აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ვფიქრობ, რომ საკმაოდ საინტერესო ანგარიში იყო. დაისვა კითხვები, ამ კითხვებზე მინისტრს ჰქონდა პასუხები. რამდენად მოეწონათ მინისტრის პასუხები, ეს კითხვის ავტორებს ჰკითხეთ. მინისტრს არცერთი კითხვისათვის გვერდი არ აუვლია. ერთ რამეს გავუსვამ ხაზს აუცილებლად: სამწუხაროდ, „მინისტრის საათის“ ფორმატი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ვერ იქნება სრულყოფილი, რადგან ის ითვალისწინებს დებატებს. დებატებს ყოველთვის სჭირდება განსხვავებული აზრები და ვისაც განსხვავებული აზრები უნდა ჰქონდეს, ისინი არ იმყოფებიან დარბაზში. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ოპოზიციას, ხალხის წარმომადგენლების ადგილი, თუ ისინი თვლიან, რომ ხალხის წარმომადგენლები არიან, არის სასესიო სხდომათა დარბაზში და შესაბამისად, უნდა დაიკავონ მათი ადგილები. სხვა შემთხვევაში, მუდმივი ბოიკოტზე წასვლა-წამოსვლის რეჟიმი, ჩემი აზრით, უკვე მომაბეზრებელია როგორც ჩვენთვის, ასევე საზოგადოებისათვის და მე ეჭვი მაქვს, რომ მათთვისაც უკვე, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის 2023 წლის 3 თვის ბიუჯეტი 118,9 პროცენტით შესრულდა. შემოსულობების გეგმა იყო 100 391 800 ლარი, შესრულება არის 119 327 800 ლარი.

2023 წლის 3 თვის საგადასახადო შემოსავლები 112 186 809 ლარია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (84 056 737) ზრდა 33 პროცენტია.

აჭარაში აქტიური საპრივატიზაციო პოლიტიკა გრძელდება. 2023 წელს, მხოლოდ გასული წლის პრივატიზებიდან მისაღები თანხა 33 086 487 ლარს შეადგენს. წელს, ჯამში, 55 000 000 ლარის ღირებულების ქონების აუქციონის გამოცხადება იგეგმება.

ტურიზმის, როგორც რეგიონის წამყვანი სექტორის, განვითარება, რჩება მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. ტურიზმის დეპარტამენტის ბიუჯეტი 62 პროცენტით გაიზარდა და 15 988 600 ლარს შეადგენს.

აჭარაში რამდენიმე მასშტაბური პროექტი იგეგმება - ახალი საბაგიროები კურორტ გოდერძიზე და გომარდულზე. ამ ეტაპზე ბაზრის კვლევა მიმდინარეობს. გარდა ამისა, ახალი ტურისტული ატრაქცია ღომას მთაზე და გულების ციხეზე გაჩნდება, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

სპორტული ტურიზმის განვითარებაზე 155 მლნ ლარი დაიხარჯება. აჭარის პროექტების მართვის კომპანია, ამ ეტაპზე, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, 10-მდე მასშტაბურ სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტს ახორციელებს.

2023 წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტი 59 549 259 ლარს შეადგენს. 2023 წელს დაგეგმილია: 19 მიმართულებით 49,09 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, 70 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის დაგება, 32 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია და 177 ხელოვნური ნაგებობის მოწყობა.

„მავანი ვერ ეგუება, რომ მეოთხედ ვარ არჩეული უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს პარლამენტში ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარ დეპუტატ ***ანზორ ბოლქვაძის*** *პოლიტიკური საქმიანობა საკანონმდებლო ორგანოში მჭიდრო კავშირშია იმ პრობლემებთან, რაც ოთხივე მუნიციპალიტეტის ამომრჩეველს აწუხებს.*

- ბატონო ანზორ, ამ დღეებში მართლმადიდებელმა სამყარომ აღდგომა იზეიმა, ახლა ისლამის მიმდევრები რამაზან-ბაირამს აღნიშნავენ. წლებია, სხვადასხვა მრწამსის ადამიანების გვერდით მოღვაწეობთ. რაა მთავარი მათი ნდობის მოსაპოვებლად?

- ჩემთვის, უპირველესი, ადამიანია. პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში ადამიანები პარტიული შეხედულების, აღმსარებლობის მიხედვით არ შემიფასებია. საქართველო, თუნდაც მთიანი ხულო, ტოლერანტობის ნიმუშია. მართლმადიდებლობის თუ ისლამის მიმდევარი ჩემთვის ერთნაირად ფასეულია. ეკლესიაში ან მეჩეთში საღვთო დღესასწაულების მისალოცად ვინმეს გულის მოსაგებად არ შევდივარ. ორივე უფლის სახლია. ნურავინ შეეცდება, აღმსარებლობის მიხედვით ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპიროს. თითქმის ყოველ წელს სოფელ წაბლანაში, ჩანჩურხევში, სტიქიისგან დაღუპულთა მოსახსენიებელ ღონისძიებას ვესწრები. სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურები, საქართველოს სამუფთოს წარმომადგენლები ერთად არიან, მრევლს ერთად ეფერებიან. ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და ორივე აღმსარებლობის მიმდევრებს საღვთო დღესასწაულებს ვულოცავ.

- იმ საქმეებზეც მივაწოდოთ მკითხველს ინფორმაცია, რაც დღეს აქტუალურია...

- ამჯერად აქცენტს იმ პროგრამებზე, პრიორიტეტებზე, თუნდაც მომავალ პროექტებზე გავამახვილებ, რაც ქვეყნის, რეგიონის აღმასრულებელი ორგანოების მხარდაჭერით და უშუალოდ ჩემი ჩარევით ხორციელდება. საპარლამენტო რეგლამენტი ყოველთვის დატვირთულია და კანონების მიღებადამტკიცებაში თითოეული ჩვენგანის მონაწილეობას ითხოვს. მაპატიონ ამომრჩევლებმა, ზოგიერთ დღესასწაულს ან სხვა ღონისძიებას რომ ვერ ვესწრები. იმის აღნიშვნას არ დავიწყებ, თუ რა წვლილი შეაქვს ქვეყნის ენერგეტიკის ბალანსის შევსებაში „შუახევიჰესს“, რომ არა ქვეყნის მაშინდელი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის თანადგომა, ეს გიგანტური პროექტი სისრულეში ვერ მოვიდოდა. მშენებარე ჰესის საძირკველში კაფსულა მან ჩადო. გოდერძის უღელტეხილზე ახლაც თოვლია. აღდგომის დღესასწაულის დღეებში კიდეც მოთოვა. სასიცოცხლო საავტომობილო გზა, რომელიც უღელტეხილზე გაივლის, ჩემი უშუალო ჩარევით რემონტდება. კურორტი გოდერძი გავიხსენოთ, როცა ზოგიერთებმა მე და ხულოს მაშინდელი ხელმძღვანელი, აწ განსვენებული თემურ ბოლქვაძე უტოპისტებად და მეოცნეებად მოგვნათლეს. ხულოს თეატრი რომ აგდებით მოიხსენიეს და მის გაუქმებაზე საუბარი დაიწყეს, აქაც სიტყვა ვთქვი და ჩემი გავიტანე. არანაკლები რისხვა წამოვიდა, როცა ჩემი წინადადებითა და მეცენატ თეიმურაზ კომახიძის მხარდაჭერით, ხულოში სამხატვრო გალერეა გავხსენით. სულ მალე ახალი შენობა ხარაჩოებს ჩამოიხსნის და კულტურისა და ხელოვნების ამ კერას საკუთარი ჭერი ექნება. ქვეყნის ახლანდელი პრემიერის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივის - განახლებული რეგიონების ფარგლებში, შუახევლებისთვის ორი მნიშვნელოვანი პროექტი მოვიპოვეთ. გული დამწყდა, როცა შარშან სამსახურებრივი დატვირთვისა და პოლიტიკური პროცესების გამო, „შუახევობას“, რეაბილიტირებული სტადიონის გახსნას ვერ დავესწარი. ჩემთვისაც საამაყოა, რომ მთაში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სტადიონი გვაქვს. ახლა ჩემი, რეგიონისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევა მიმართულია ხულოში სპორტის სასახლის მშენებლობის დაწყებაზე. ეს კერა კიდევ უფრო გაამდიდრებს ხულოს ბერძნულ-რომაული და სხვა სტილით მოჭიდავეების მონაგარს. 700 ათას ლარს ვითხოვდით შუახევის კულტურის სახლის შენობის რემონტისთვის, ახლა ამ პროექტს მილიონზე მეტი ლარი ხმარდება. მიცემული დაპირების, მათი შემოთავაზებული წინადადებების შესრულების მხრივ, ქედელ და ხელვაჩაურელ ამომრჩევლებთან პირნათელი ვარ. ყოველთვის მაქვს აჭარის მთავრობის, ოთხივე სამინისტროს ხელმძღვანელების მხარდაჭერა. ჩვენ ერთად წამოვიწყეთ ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს, შუახევი-შუბანი-ჩირუხის, შუახევი-წაბლანა-ღომას, ხაბელაშვილები-ჯვარიმინდორი-თაგინურის საავტომობილო გზების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. პრესით, კერძოდ, თქვენი გაზეთით, რამდენჯერმე გამოვთქვი აზრი ზღვისპირეთთან ყველაზე ახლოს მდებარე მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისებისა და ბუნებრივი სამთო-სათხილამურო ტრასების გამოყენების თაობაზე. აჭარის მთავრობის ამასწინანდელ სხდომაზე უკვე მინიშნებით ითქვა, რომ წელს აქ ღია სცენა, სპორტული არენა და საპიკნიკე ადგილი მოეწყობა, დაიწყება საპროექტო სამუშაოები რეკრეაციული ზონის ათვისებისთვის. დროა, ამ მთაში მერისის ხეობიდან მისასვლელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობაზეც დავიწყოთ მუშაობა.

- მარტო ინფრასტრუქტურული პროექტებით ნუ შემოიფარგლებით...

- ქვეყანა ჯანმრთელი და გონიერი ადამიანებითაა ძლიერი. მოქმედი ხელისუფლების, თუნდაც, კანონმდებლების დიდი მონაპოვარი ის სამედიცინო რეფორმაა, რაც ქვეყანაში გატარდა. საპარლამენტო მოღვაწეობის პირველ წლებში, კლინიკებსა და ცალკეულ ინსტანციებს ვაკითხავდი, რომ, სოციალურად დაუცველი, სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანების სიცოცხლე გადამერჩინა, მეზრუნა მათ ჯანმრთელობაზე... დედაქალაქის რამდენიმე წამყვანი კლინიკის ხელმძღვანელთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა, რაც შემდგომ მეგობრობასა და ოჯახებით დაახლოებაში გადაიზარდა. ხულოში, შუახევში, ქედაში დედაქალაქიდან ჩამომყავს ცნობილი ექიმები და პაციენტებს კონსულტაციებს უწევენ. რა დასამალია, რომ იმ პაციენტებსაც ვეხმარები, რომლებიც საარჩევნო კამპანიების მიმდინარეობისას ოპოზიციას უჭერდნენ მხარს.

- თქვენი საპარლამენტო მოღვაწეობის დიდი მონაპოვარია „მთის კანონის“ მიღება და ცალკეული პუნქტების ამოქმედება...

- არ დავივიწყოთ ყოფილი კოლეგის იაშა შერვაშიძისა და იმ მაჟორიტარი პარლამენტარების თანადგომაც, რომლებიც იმ მოწვევის პარლამენტში მთიანი რეგიონებიდან იყვნენ არჩეულნი. არავის ვაყვედრი, მაგრამ რა ძალისხმევაც დამჭირდა, რომ მაჭახლის ხეობის მოსახლეობას ამ კანონით ესარგებლა, ეს მე და აქაურმა როინ მალაყმაძემ ვიცით. ახლაც შესაბამის კომისიასთან ვმუშაობთ, რომ კანონში გარკვეული კორექტივები შევიდეს.

- ბოლო წლებში აჭარის მთისა და ბარის სოფლების მოსახლეობას სტიქიამ შეუტია. ბუნების კანონები შეუვალია, თუმცა პრევენციული ღონისძიებები საჭიროა.

- მეც და აჭარის მთისა და ბარის სოფლების ის ოჯახები, რომლებსაც ზამთარში ზვავები, წელიწადის სხვა დროს მეწყერული პროცესები აწუხებთ, მიესალმებიან აჭარის მთავრობის გულისხმიერ მიდგომას ამ საქმისადმი. დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად და პრევენციული სამუშაოების ჩასატარებლად რეგიონის ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარი გამოიყო. ხულოში, შუახევში, ქედაში, თუნდაც კირნათსა და მაჭახლის ხეობაში გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე, ასეულობით ოჯახი ადგილმონაცვლეობას, ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარებას ითხოვს. რთული მდგომარეობაა ზედა თხილვანაში, ბუთურაულში, ცინარეთში, ჯაბნიძეებში, ტაკიძეებში, ახოში, ჯალაბაშვილებში, მერისის, ჭვანის, ღორჯომის, ბეღლეთ-დანისპარაულისა და სხალთის ხეობების სხვა სოფლებში. სიფრთხილე გვმართებს, ამასთან, ადგილებზე ბუნებაში ზედმეტ ჩარევას, გაუთვალისწინებელ, სათანადო დასკვნების გარეშე გზების გაყვანას, მშენებლობებს უნდა მოვერიდოთ.

- ქართული სოფელი, ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება ყველას საფიქრალ-საზრუნავია...

- ქვეყნის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროების, შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელები ტრადიციული დარგების განვითარების მრავალ პროგრამას ამუშავებენ. უკვე შედეგებიც სახეზეა იმ მუნიციპალიტეტების სოფლებში, სადაც სადეპუტატო უფლება-მოვალეობის განხორციელება მოხდება. მევენახეობა აღორძინეს ქედის მუნიციპალიტეტში. მოეწყო ღვინის მარნები. მეგობრული ურთიერთობა მაქვს გეგელიძეებელი ფრიდონ სირაბიძის ოჯახთან. ამ ფერმერისთვის მარტო ვაზის მოვლა, ღვინის დაყენება, მარნის მოწყობა როდია მთავარი, იგი კარგი სელექციონერიცაა. მან ალექსანდროულის (ხვანჭკარა) ნერგები შემოიტანა და წელს მოსავალსაც ელოდება. კოკოტაურელი ლაშა ზოიძე დამწყები აგრონომია. იგი ერთ ხანს შუახევის საჩითილე მეურნეობის სპეციალისტი იყო. კონკურსი გაიარა და ახლა სხვა პოზიციაზე მუშაობს. მან ვაზის მყნობასაც კარგად აუღო ალღო. თავის დროზე საშური და საშვილიშვილო საქმე გააკეთა კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ჩხაიძემ, როცა ქედელ და რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების მევენახეებს ჩხავერის, ცოლიკაურის და აჭარაში აპრობირებული სხვა ჯიშების ნერგები უფასოდ დაურიგა. ქედის ღვინის ქარხნის პროდუქცია უცხოურ ბაზარზეც გამოჩნდა. სელექციური მუშაობა, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის სამინისტროების საქმიანობის მთავარ მიმართულებად რჩება. აჭარის მთავრობის, თუნდაც ჩვენი ჩართულობის ფასად, ადგილზე წარმოებული თამბაქოს რეალიზაციაზე შეღავათებია დაწესებული... მრავალი ფერმერი უკვე თამბაქოს კუსტარულად აწარმოებს და ადგილზე, ყოველგვარი შეფერხების გარეშე ასაღებს, რაც ოჯახებს საკმაო შემოსავალს უტოვებს. თუმცა ბოლო დროს წარმოებული ნედლეულის სიჭარბის გამო, სარეალიზაციო ფასებმა საგრძნობლად იკლო. იმასაც გეტყვით, რომ ამ ტექნიკური კულტურის წარმოებასა და რეალიზაციაზე სახელმწიფო პასუხისმგებლობას იხსნის.

- რამდენად სამართლიანია ფერმერების მოთხოვნა, რომ ნაწილობრივ მაინც შეიზღუდოს უცხოეთიდან ნედლეულის, თუნდაც მზა პროდუქტების შემოტანა?

- საბაზრო ეკონომიკას თავისი კანონები აქვს. ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ მსოფლიოში თამბაქოს მწეველთა რაოდენობამ იკლოს, მაგრამ რაც იკრძალება, იმისკენ უფრო ილტვიან. მიმდინარე წლის ორ თვეში სახელმწიფო სტატისტიკის მაჩვენებლის მიხედვით, სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტ-იმპორტი რომ მომატებულია, იგი ყველა პროდუქტის შემოტანა-გატანაზეა გათვლილი.

- ბრალს გდებენ, რომ უცხოეთიდან, კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკიდან თამბაქოს შემოტანაში თქვენც წილი გაქვთ და ადგილობრივი მწარმოებლები კრიტიკის ქარცეცხლში გატარებენ.

- ასეთი ცრუ ბრალდებები ჩემთვის უცხო არაა. დასაბამიდან ასეა: ვინც საქმეს აკეთებს, ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ იხარჯება, ყველაზე მეტი მტერი მას ჰყავს. შემეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი მეთქვა, მაგრამ ზოგჯერ დუმილი, წაყრუება დანაშაულის ტოლფასად მიმაჩნია. მავანი, თუნდაც ის, ვინც ჩემს ოპოზიციაში იყო და არის, ვერ ეგუება, რომ მეოთხედ ვარ არჩეული მაჟორიტარ დეპუტატად ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. მიზეზი ეს არის და ეს. შუახევში გამართულ ერთ შეხვედრაზე ამ ბრალდებას სათანადო განმარტებით ვუპასუხე. მრავალ ცოდვათაგან, ცრუ ბრალდებაზე დიდ ცოდვად არაფერი მიმაჩნია. ამ თემაზე ჩემი კომენტარი საბოლოო იქნება, თანაც მას თქვენი გაზეთით ვაკეთებ, რადგან „აჭარა“ ჩემს 14-წლიან მუშაობას ყოველთვის ობიექტურად აფასებს.

> ***„ახლა ჩემი, რეგიონისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევა მიმართულია ხულოში სპორტის სასახლის მშენებლობის დაწყებაზე. ეს კერა კიდევ უფრო გაამდიდრებს ხულოს ბერძნულ-რომაული და სხვა სტილით მოჭიდავეების მონაგარს. 700 ათას ლარს ვითხოვდით შუახევის კულტურის სახლის შენობის რემონტისთვის, ახლა ამ პროექტს მილიონზე მეტი ლარი ხმარდება***

უცხოეთი

ნატოს ყველა მოკავშირე შეთანხმდა, რომ უკრაინა ნატოს წევრი გახდება, მაგრამ მთავარი აქცენტი ახლა იმაზე კეთდება, თუ როგორ უზრუნველვყოთ უკრაინის გამარჯვება, - განუცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ჟურნალისტებს „რამშტაინის“ საჰაერო ბაზაზე, სადაც უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. „როდესაც ომი დასრულდება, ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ისტორია აღარ განმეორდება, რომ რუსეთს აღარ შეეძლება, განაგრძოს თავდასხმა და კვლავ აწარმოოს ომი უკრაინის წინააღმდეგ და გააგრძელოს ევროპული უსაფრთხოების წინააღმდეგ ბრძოლა“, - დასძინა სტოლტენბერგმა. ამ დღეებში იგი უკრაინაშიც იმყოფებოდა.

* * *

ევროკავშირი უკრაინის მოსაზღვრე ხუთი ქვეყნის ფერმერებისთვის 100 მილიონი ევროს კომპენსაციას ამზადებს და უკრაინული მარცვლეულის იმპორტზე შეზღუდვების შემოღებას გეგმავს. ბრიუსელზე ზეწოლა მას შემდეგ გაიზარდა, რაც ვარშავამ და ბუდაპეშტმა გასულ კვირას აკრძალეს უკრაინიდან მარცვლეულისა და სასურსათო პროდუქტის იმპორტი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ განიხილავდნენ მსგავს ქმედებებს. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თანახმად, უკრაინიდან ფერმერული პროდუქტების იმპორტი ტარიფებსა და კვოტებს ექვემდებარებოდა, თუმცა ევროკავშირი გასულ წელს დათანხმდა ყველა ტარიფის 2023 წლის ივნისამდე შეჩერებას, ხოლო ევროკომისიამ შესთავაზა ამ შეჩერების კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება.

* * *

„რესპუბლიკელი“ სენატორებისა და კონგრესმენების ჯგუფი აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს უკრაინისთვის შეუზღუდავი დახმარების შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ბაიდენისთვის გაგზავნილი წერილის ავტორები ასევე აცხადებენ, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან დახმარების ყველა სამომავლო პაკეტს, თუ ის არ იქნება დაკავშირებული ამ ომის სწრაფად დასრულების მკაფიო დიპლომატიურ სტრატეგიასთან. „არ არსებობს მკაფიო სტრატეგია ამ ომის დასასრულებლად. უკრაინაში რუსეთთან „პროქსი ომი“ არ შედის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესში და ესკალაციას უკავშირდება, რომელიც შეიძლება კონტროლიდან გამოვიდეს“, - წერია წერილში.

* * *

„არ ვაპირებ გადადგომას. გარწმუნებთ, ეს არ მოხდება. 2027 წელს უნდა დაელოდოთ“, - ასე უპასუხა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა მოქალაქეს, რომელმაც მას გადადგომისკენ მოუწოდა. საფრანგეთში საპროტესტო აქციების ტალღა მას შემდეგ დაიწყო, რაც ქვეყნის მთავრობამ სადავო საპენსიო რეფორმა პარლამენტში კენჭისყრის გარეშე მიიღო. აღნიშნული კანონი უკიდურესად არაპოპულარულია ფრანგებს შორის, თუმცა მაკრონი აცხადებს, რომ ეს რეფორმა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი კუბას ეწვია. მას ქვეყნის ლიდერმა მიგელ დიას კანელმა უმასპინძლა. შეხვედრას ესწრებოდა ყოფილი ლიდერი რაულ კასტროც. რუსეთის მთავარმა დიპლომატმა კუბის წინააღმდეგ აშშ-ის ეკონომიკური სანქციები დაგმო.

მოამზადა
ია ფველიძემ

პროექტის მიზანი – მიეცეთ ახალგაზრდებს თანამედროვე განათლება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბსუ-ის სტუდენტები ჩვენს დღევანდელ რესპონდენტ გოგა ბაუშაძეს კარგად იცნობენ. იგი იმ ახალგაზრდების რიცხვშია, პირველი შეხვედრისთანავე ნდობით რომ განგაწყობთ, წარმატებული და კრეატიული სტუდენტია, რასაც მოწმობს მისი აქტივობები საგანმანათლებლო სივრცეში. ახლახან გაიმარჯვა მნიშვნელოვან პროექტში, ამავე დროს ორგანიზაციის „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ და ბსუ-ის ახალგაზრდული სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელია, რაც მრავლისმთქმელი და საამაყოა. დღეს ბსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობის მესამე კურსის სტუდენტი გოგა ბაუჟაძე ჩვენი სტუმარია.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტის კონკურსში გაიმარჯვეთ, გილოცავთ. როგორ აპირებთ განახორციელოთ „გარემოსდაცვითი ახალგაზრდული სამიტი“, რა ეტაპებს მოიცავს პროექტი, როდის დაიბადა მისი იდეა და რა მიზანს ემსახურება?

- დიახ, შარშან გავიმარჯვე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ პროექტებში და გუნდთან ერთად განვახორციელე პროექტი „საქართველოს ახალგაზრდული სამიტი 2022“. პროექტის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები ვფიქრობდით, კიდევ ერთხელ გვეცადა, ახალგაზრდებისთვის შეგვექმნა პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ განვითარებას, მაგრამ ამჯერად იმ განსხვავებით, რომ მხოლოდ უნივერსიტეტის არეალით არ უნდა დავკმაყოფილებულიყავით და ერთობლივი პროექტი მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაგვეტანა. მოცემული პროექტი საკმაოდ დიდ ბიუჯეტს მოითხოვდა. საბედნიეროდ, გვხვდა წილად ბედნიერება, გვყოლოდა თანადამფინანსებელი აჭარის წყლის ალიანსის სახით, რომლის წევრებმაც, შეგმოგვთავაზეს, რომ გამარჯვების შემთხვევაში დაგვიდგებოდნენ გვერდით და პროექტის უმთავრეს მხარეს, მუნიციპალიტეტებში გასვლებსა და სამიტის განხორციელებას დააფინანსებდნენ.ამ ინფორმაციის გაგების დღიდან პროექტის გაგზავნამდე ახალგაზრდები მუხლჩაუხრელად ვშრომობდით, რათა სასურველი მიზნისთვის მიგვეღწია და კონკურსში გაგვემარჯვა. ჩვენი პროექტის მიზანია, ახალგაზრდებს თანამედროვე, მაღალი ხარისხის განათლების და გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მივცეთ, რაც მათ სამომავლოდ პროფესიულ ორიენტაციაში დაეხმარება, ასევე კრიტიკული, ანალიტიკური და ლიდერული უნარ-ჩვევების გაღრმავებაში, საჯარო გამოსვლების, დებატებისა და მოლაპარაკებების ხელოვნების დაუფლებაში, გარემოსდაცვით აქტუალურ-პრობლემატურ საკითხებზე მუშაობაში, გლობალური პრობლემების გზების გადაჭრის პოვნაში.

- მოგვიყევით ამ პროექტის შექმნის პროცესზე, რა გამოწვევების წინაშე დადექით?

- პროექტის შექმნის ყველაზე დიდი გამოწვევა იყო ბიუჯეტი, რადგან, მოგეხსენებათ, სამიტის განხორციელებას ვაპირებთ ქედაში, ხულოში, შუახევში, ხელვაჩაურსა და ქობულეთში, რაც მარტივი არ არის, საკმაოდ დიდ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული, თუმცა საქმე საკმაოდ გამარტივდება თანადაფინანსების შემდეგ. სტუდენტური პროექტი, - „გარემოსდაცვითი ახალგაზრდული სამიტი“ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებზეა მორგებული და საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს, დაეუფლონ თანამედროვე სტანდარტების განათლებას. არაფორმალური განათლება უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების წინსვლისა და განვითარებისთვის, რადგან სწორედ პრაქტიკა და გამოცდილება განსაზღვრავს მათ მომავალ კარიერულ წარმატებას, რომელსაც მსგავსი პროექტებიდან იღებენ. ეს პროექტი ახალგაზრდებს აძლევს უდიდეს შესაძლებლობას, გაეცნონ მათთვის საინტერესო საკითხებს, იმსჯელონ საქართველოში მიმდინარე უახლეს მოვლენებზე და თვითონვე შეიმუშაონ გადაჭრის ალტერნატიული გზები. ასევე, ეს პროექტი ხელს შეუწყობს მათ პროფესიული ორიენტირის ჩამოყალიბებას. ამ პროექტის განხორციელება, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, განპირობებული იყო იმითაც, რომ სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები არა მხოლოდ უნივერსიტეტის ფარგლებში, არამედ გასულიყვნენ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ასევე მიმაჩნია, რომ ძალიან აქტუალურია გარემოსდაცვის საკითხები, რომელთა პოპულარიზაცია ახალგაზრდებში ძალიან მნიშვნელოვანია.

- რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის ზემოაღნიშნულ პროექტში მონაწილეობა და გამარჯვება?

- მოგეხსენებათ, მოცემული პროექტი ახალგაზრდებისთვის აჭარის მასშტაბითაა განკუთვნილი. ვფიქრობ, მათთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ესაა გზა წარმატებისკენ. მოცემული პროექტის მეშვეობით ახალგაზრდებს შეეძლებათ, დაეუფლონ ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, რომლებიც სამომავლოდ მისცემთ შესაძლებლობას, იყვნენ აქტიური, პასუხისმგებლიანი მოქალაქეები, პროექტის მეშვეობით ისინი გაიგებენ ქვეყანაში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციასა და ფაქტებს. აქვე დავძენ, რომ გარემოსდაცვითი ახალგაზრდული სამიტი, ძირითადად, განკუთვნილია სკოლის მოსწავლეთათვის. მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდებმა აქტიური ცხოვრება სწორედ სკოლიდან უნდა დაიწყონ, მათი პირველი ნაბიჯები სამოქალაქო აქტივიზმისაკენ სწორედ მოცემული პროექტებით არის შესაძლებელი და მე და ჩემი გუნდი მუდმივად შევეცდებით მათთვის მსგავსი პროექტების შექმნასა და განხორციელებას. ზოგადად, მსგავს პროექტებში მონაწილეობა 80-დან 100 ლარამდე ღირს, ჩვენ კი მას სრულიად უფასოდ ვთავაზობთ, რადგან კარგად გვესმის, რომ მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ახალგაზრდების განვითარებას და წინსვლას ხელი. განათლებული თაობა აშენებს განვითარებულ სახელმწიფოს!

- მსგავსი პროექტები ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტში თუ ხორციელდება და ამ მხრივ ჩვენი რეგიონის სტუდენტების ჩართულობაზე რა შეიძლება ითქვას?

- რა თქმა უნდა, ხორციელდება, მაგრამ კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მე და ჩემმა გუნდმა საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღეთ ორგანიზაცია „საქართველოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტისგან“, რომელიც მოცემული კუთხით ახორციელებს პროექტებს. იქ მიღებულ ცოდნასა და მოტივაციას ჩემს საქმიანობაში საკმაოდ დიდი წილი მიუძღვის. ჩემი თანაგუნდელებისა და ჩემი მოტივაციაა, განათლება უფასოდ და ყველამ მიიღოს, სხვადასხვა ორგანიზაციები კი იმ საქმიანობაში, რასაც ჩვენ ვეწევით, ასობით და ათასობით ლარს იღებენ. ჩვენთვის მოგება მხოლოდ განათლებული ახალგაზრდობა და სხვადასხვა საკითხში მათი გათვითცნობიერებისათვის ხელშეწყობა და განვითარებაა.

- უახლოეს მომავალში კიდევ ხომ არ აპირებთ ახალი პროექტების დაწყებას? გვიამბეთ ამის შესახებ...

- ვფიქრობ, მალე დავიწყებ ახალ პროექტებსაც, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბითაც. პროექტებში ჩავრთო მაქსიმალურად მეტი ახალგაზრდა, რაც მათი განვითარებისა და წინსვლისათვის უმნიშვნელოვანესია. ამჟამად ვმუშაობ პროექტზე, რომლის განხორციელების შემთხვევაში ახალგაზრდების დასაქმებაც შემეძლება. პროექტზე რამდენიმე თვეა, შეიძლება ითქვას, წლებიც კი ვმუშაობ, მნიშვნელოვან ელემენტებს ვაგროვებ და მჯერა, ერთ დღეს მიზანს აუცილებლად მივაღწევ!

- სტუდენტური სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელად აგირჩიეს, ამ მხრივ რა აქტივობები განახორციელეთ და რას აპირებთ მომავალში?

- დიახ, რამდენიმე თვის წინ გავხდი უნივერსიტეტში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გუნდისა და კლუბის ხელმძღვანელი. გამიმართლა, რადგან ამ გუნდის თითოეული წევრი გამოირჩევა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევებით. მათთან ერთად სტუდენტური საქმეების კეთება ჩემთვის საკმაოდ სასიამოვნო პროცესია, რადგან ყოველი ახალგაზრდა თავის საქმეს დიდი ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდება. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელად არჩევის შემდეგ ახალგაზრდებმა აქტიურად დავიწყეთ ჩვენი სამოქმედო გეგმის გაწერა. პირველი ერთობლივი პროექტი შევიმუშავეთ დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომელიც ორ ეტაპად იყო გაყოფილი. პირველი - ლექცია იყო, ხოლო მეორე ეტაპზე ბსუ-ის ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში მცირე საოჯახო ტიპის სახლის ახალგაზრდებისა და დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბ „არეტეს“ წევრების მონაწილეობით შემეცნებითი და სახალისო აქტივობები გაიმართა. ნაყოფიერი და მხიარული შეხვედრა გამოვიდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დავიწყეთ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სამეცნიერო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი პროექტია.

- ახლახან დაიწყო „სამეცნიერო კონფერენცია - 2023“. რით არის მნიშვნელოვანი ეს კონფერენცია?

- სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისათვის „სამეცნიერო კონფერენცია - 2023“ გახლავთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება. იგი მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, ვისაც სურს სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარებით სიახლეების აღმოჩენა და განმტკიცება. საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ განვითარდნენ და წარმატების გზას დაადგნენ. გასულ კვირას სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში გავმართეთ სამეცნიერო კვირეული, რომლის ფარგლებშიც მოვაწყვეთ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა თითოეულ ფაკულტეტზე. - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ხელმძღვანელები გახლავთ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, ხოლო ორგანიზატორი - სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - „ბსუ“.

> *„სამეცნიერო კონფერენცია მრავლისმომცველია. ახალგაზრდები არ არიან შეზღუდულები თემატიკაში, თითოეულ ფაკულტეტს თავისი თემები აქვს. რომლის მიხედვითაც სტუდენტები წერენ სამეცნიერო ნაშრომებს, თუმცა მათ ინდივიდუალურადაც შეუძლიათ საკონფერენციო თემის არჩევა. არ იზღუდებიან ამ მხრივ და მათ ასევე შეუძლიათ არა მხოლოდ თავიანთ ფაკულტეტებზე გაიტანონ ნაშრომები, არამედ სხვა ფაკულტეტებზეც წარადგინონ. სამეცნიერო კონფერენცია, უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, რომელშიც ასობით ახალგაზრდა მონაწილეობს*

- ამ კონფერენციაზე წარდგენილი სტუდენტთა ნაშრომები, ძირითადად რას შეეხება და ვინ შეაფასებს მათ?

- სამეცნიერო კონფერენცია მრავლისმომცველია. ახალგაზრდები არ არიან შეზღუდულები თემატიკაში, თითოეულ ფაკულტეტს თავისი თემები აქვს. რომლის მიხედვითაც სტუდენტები წერენ სამეცნიერო ნაშრომებს, თუმცა მათ ინდივიდუალურადაც შეუძლიათ საკონფერენციო თემის არჩევა. არ იზღუდებიან ამ მხრივ და მათ ასევე შეუძლიათ არა მხოლოდ თავიანთ ფაკულტეტებზე გაიტანონ ნაშრომები, არამედ სხვა ფაკულტეტებზეც წარადგინონ. სამეცნიერო კონფერენცია, უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, რომელშიც ასობით ახალგაზრდა მონაწილეობს, ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობენ ლექტორ-მასწავლებლებიც. კონფერენცია რამდენიმე სექციად არის დაყოფილი. თითოეულს ჰყავს, როგორც გამარჯვებულები, ასევე შემფასებლები, - დარგის ექსპერტები, ძირითადად მოცემული სპეციალობის ლექტორ-პროფესორები.

- აღნიშნეთ, რომ მნიშვნელოვან აქტივობებს ახორციელებთ, უფრო კონკრეტულად? მაგალითად, სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით?

- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, მთელი კვირის განმავლობაში ვატარებდით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სამომავლოდ კი ვაპირებთ ჩავატაროთ სამეცნიერო ნაშრომის წერის ტექნიკების, პლაგიატის პრობლემებსა და მასთან ბრძოლის პრაქტიკასთან დაკავშირებით შეხვედრები, შემდგომი თვისთვის ვგეგმავთ როგორც საინფორმაციო ხასიათის მქონე შეხვედრებს, ასევე პატარა გასართობ პროექტებსაც, რადგან კარგად გვესმის, რომ საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად მნიშვნელოვანია სპორტული აქტივობებიც.

- როგორც სტუდენტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სამომავლოდ სტუდენტთა პრობლემების მოსაგვარებლად რა ღონისძიებების განხორციელებას აპირებთ?

- პირველ რიგში, ვაპირებთ გარემოსდაცვითი ახალგაზრდული სამიტის განხორციელებას, რომელიც საკმაოდ მასშტაბური პროექტია და ივნისში დასრულდება, შემდეგ ვგეგმავ გაცილებით დიდი პროექტის წამოწყებას, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტს და არა მხოლოდ ბენეფიციართა განვითარებაზე, არამედ მათ დასაქმებასა და კარიერულ წინსვლაზე იქნება ორიენტირებული, ასევე, აღნიშნული პროექტის შექმნის პერიოდში ვაპირებთ პატარა საგანმანათლებლო, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და აქტივობების ჩატარებას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით...

იტალიის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა შეხვედრა გამართა იტალიელ კოლეგა ანტონიო ტაიანისთან, რომლის ფარგლებშიც ასევე გაიმართა საქართველოსა და იტალიას შორის მაღალი დონის დიალოგის დაწყების შესახებ დეკლარაციის ხელმოწერის ცერემონია

„შეხვედრაზე მინისტრებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგს და მიმართულებით არსებულ პროგრესს. მიმოხილული იქნა კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული ძალისხმევა და გადადგმული ნაბიჯები. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე იტალიის მხრიდან ხაზი გაესვა საქართველოს მისწრაფებების მხარდაჭერას და აღინიშნა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობა. მინისტრებმა მიმოიხილეს რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების ვითარება. იტალიის მხრიდან აღინიშნა რეგიონის მიმართ მზარდი ინტერესი როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო ეკონომიკური თვალსაზრისით.

ორმხრივ ურთიერთობებზე საუბრისას ვრცლად იქნა მიმოხილული საქართველოსა და იტალიას შორის არსებული ეკონომიკური კავშირები, დადებითად შეფასდა იტალიური ინვესტიციებისა და იტალიური კომპანიების მზარდი მაჩვენებელი საქართველოში და გამოიხატა დაინტერესება, მიმართონ ძალისხმევა ბიზნესწრეების კიდევ უფრო დასაახლოვებლად. მინისტრები ასევე მიესალმნენ ქვეყნებს შორის კულტურისა და ხალხთა შორის კავშირების მიმართულებით აქტიურ თანამშრომლობას“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

„საგაკვეთილო პროცესი ამოუწურავია მასწავლებლისათვის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მირანდა ზაბახიძე ქობულეთში ცხოვრობს და თავისი საქმიანობით არა მარტო თანაქალაქელთა, არამედ ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. ქართული ენისა და ლიტერატურის წარმატებული მასწავლებელი პოეზიის ტრფიალითაც გამოირჩევა, მისი ლექსები არაერთ ლიტერატურულ გამოცემებში იბეჭდება. ახლახან ქალბატონი მირანდა „2023 წლის პერსონის“ ტიტულზე წარადგინეს და ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.

- წარმატებული პედაგოგი, პოეტი - ასე გიცნობენ ახლობლები და თანამოსაქმენი. ჩვენს მკითხველს აინტერესებს ის გზა, რომელმაც აქამდე მოგიყვანათ...

- სკოლის პერიოდიდანვე მინდოდა მასწავლებელი ვყოფილიყავი და მიზნიდან არასოდეს გადამიხვევია. რაც შეეხება ლექსების წერას, ეს ჩემთვის ძალზედ სასიამოვნო პროცესი იყო თავიდანვე, თითქოს მიღმიერს ვეხებოდი მათი საშუალებით. ჩემი ოჯახი სხვიტორიდან არის, აკაკი წერეთლის სოფლიდან. ერთხელაც, ბავშვობაში მამისათვის, როცა აკაკი წერეთლის ძეგლი დამინახავს, მითქვამს: - მამა, ეს კაცი აქ რატომ დასვეს-მეთქი? მამამაც იუმორით მიპასუხა: - თუ კარგ ლექსებს დაწერ, ასე დაგსვამენ შენცო. ამ ისტორიას ხშირად ვიხსენებთ ოჯახში.

- როცა პირველი გაკვეთილი ჩაატარეთ ლიტერატურაში... როგორ იგონებთ და მას შემდეგ რა შეიცვალა ლიტერატურის სწავლებაში?

- პირველი ჩატარებული გაკვეთილი ძალიან კარგად მახსოვს. ბათუმის ერთ-ერთ სკოლაში ვიყავი. „თავფარავნელი ჭაბუკი“ უნდა ამეხსნა, ლექტორიც მესწრებოდა შესაფასებლად. თავიდან ცოტა ვნერვიულობდი, მაგრამ ზარი რომ დაირეკა, ყველაფერი თავის ადგილას დადგა. კლასში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მე მიყურებდა. მერე ერთ სიტყვას მეორე მოჰყვა და... ასე რომ ვთქვათ, ეშხში შევედი. ზარი როდის დაირეკა აღარც მახსოვს. ბოლოს ლექტორთან მივედი, შეფასება რომ გამეგო. მან კი ღიმილით მითხრა: მირანდა, აქ თავს ისე გრძნობ, როგორც თევზი წყალშიო. ეს დღე უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. იმ დღიდან მოყოლებული, ლიტერატურის სწავლებისას ახალ-ახალ მეთოდებსა და საკლასო აქტივობებს ვიყენებ. ვფიქრობ, საგაკვეთილო პროცესი ამოუწურავია მასწავლებლისათვის, მთავარია, ამ ყველაფერს დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მიუდგეს.

- „თანამედროვე გაგებით, განათლება ნიშნავს იცოდე, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ“ - ეს თქვენი შეხედულებაა. განავრცეთ უფრო...

- კიდევ მრავალჯერ გავიმეორებ, რომ განათლება, როგორც ძველი, ასევე თანამედროვე გაგებით, ნიშნავს იცოდე, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ და სად მიდიხარ. ეს არის მთავარი ფაბულა ამ აზრისა, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს სკოლის პერიოდი, ცხოვრების შემდეგი ეტაპის ჩათვლით. არისტოტელეს ფრაზას გავიხსენებ - „განათლება არის ორნამენტი კეთილდღეობაში და თავშესაფარი უბედურებაში“.

- ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში მასწავლებელმა თავისი დიდი მისია რომ შეასრულოს, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს?

- ბავშვი რომ სწორად აღვზარდოთ და პიროვნებად ჩამოვაყალიბოთ, პირველ რიგში, თავად უნდა იყოს მასწავლებელი ამ ყველაფრის ეტალონი, ბავშვისთვის მისაბაძი. მასწავლებლობა ბავშვების უანგარო სიყვარულს მოითხოვს განსხვავების გარეშე. ის უნდა ფლობდეს საკუთარ თავს და ჰქონდეს ნებისყოფის დიდი რესურსი.

- ახლა თქვენს შემოქმედებაზე ვისაუბრ-ოთ. როცა თქვენი აზრები და ემოციები ლექსებად გარდაიქმნება, სად აქვეყნებთ, უპირატესობას რომელ მედიას ანიჭებთ?

- სწორად აღნიშნეთ, ჩემი შემოქმედება ჩემი სულის ნაწილია, ის პროცესია, როცა აზრები და ემოციები ლექსად გარდაიქმნება. ბედნიერი ვარ, როცა მაქვს იმის შესაძლებლობა, ლამაზად გამოვხატო ჩემი სათქმელი. მისტიკური პროცესის მსგავსია.

- როცა ბუნებაში ხართ, ყველაზე მეტად რა გიტაცებთ?

- ბუნებაში ყოფნა ძალიან მიყვარს, რადგან მისგან ბევრ ინსპირაციას ვღებულობ. ადამიანი და ბუნება ერთი შემადგენელი ნაწილია იმ სამყაროსი, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ.

- სილამაზის აღქმა და განცდა - ამ უდიადესი უნარის განვითარება აღზრდის რა ეტაპზეა უფრო ეფექტური?

- სილამაზის აღქმა და განცდა ადრეული ბავშვობიდან უნდა ჩაინერგოს ადამიანში, რადგან ამ პერიოდში მიღებული ცოდნა და ემოციები უწყვეტ ხაზად გასდევს მთელ ცხოვრებას.

- მწერლები, რომელთა წიგნებს ხშირად უბრუნდებით?

- მიჭირს გამოვარჩიო რომელიმე მათგანი, ასეთი ბევრია: ვაჟა, ილია... წარმოუდგენელია მათ გარეშე ქართული მწერლობა. ასევე განსაკუთრებით მიყვარს ოთარ ჭილაძე, გრიგოლ რობაქიძე და სხვანი.

- ადამიანები, რომელთა არსებობამ ძალა და სულიერი მხნეობა შეგმატათ?

- ეს, პირველ რიგში, დედაა. ის ჩემი ეტალონია როგორც ზნეობრივად, ასევე მთელი თავისი ცხოვრებით, რომელიც ყოველდღიურად მიმტკიცებს, რომ დედობა უდიდესი სიყვარულის გამოვლინებაა სიყვარულთა შორის. ასევე, ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები. მადლობა მათ იმისათვის, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობენ.

- რა არის თქვენთვის სამშობლო?

- რთულია, მარტივად გასცე პასუხი ამ კითხვას. სამშობლო ჩემი ნაწილია, რომელსაც ყოველთვის გულით ვატარებ. ეს ყველაზე ძვირფასი ნაწილია ადამიანისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სჭირდება ზრუნვა, ფიქრი, საქმე და, რაც მთავარია, შედეგი. მახსენდება ასეთი გამონათქვამი „სამშობლოსათვის არაფერი გაგიკეთებია, თუ ყველაფერი არ გააკეთე მისთვის“. მთელი ჩვენი ცხოვრება შედეგი უნდა იყოს იმ ნაფიქრალისა თუ ნააზრევისა, რომელსაც მხოლოდ ერთი ობიექტი უნდა ჰყავდეს - სამშობლო.

- ეს წელი წარმატებით დაიწყეთ, მოგანიჭეს დიპლომები, საპატიო ტიტული, მოგვიყევით ამის შესახებ...

- ეს წელი ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში. საოცარი სისწრაფით მიჰყვა ერთმანეთს წარმატებები. ჩემი ლექსები იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთსა და წიგნებში. გავხდი ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, წარმადგინეს „პერსონის“ ტიტულზე, როგორც წლის წარმატებული პოეტი და პედაგოგი.

- ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში... რა შევინარჩუნოთ, რა უკუვაგდოთ?

- საქართველო ტრადიციული ქვეყანაა, სადაც დიდ პატივს სცემენ ადათ-წესებსა და კულტურას. მე პირადად გამოვარჩევდი სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას. სტუმარი ღვთის კაცად არის მიჩნეული ჩვენს სამშობლოში. თუმცა არის რიგი ტრადიცია რომლის შესწორებასაც ვისურვებდი. მაგალითად, გადამეტებული მოლხენა. ვფიქრობ, ზომიერება ყველაფრის მიმართ დიდი სიბრძნეა ცხოვრებაში.

- ციფრული ეპოქა ახალი გამოწვევის წინაშე გვაყენებს. დროს რომ მოვერგოთ, რას ურჩევდით უფროსი და ახალგაზრდა თაობის ადამიანებს?

- ციფრული ეპოქა ნამდვილად გვაყენებს ახალი გამოწვევების წინაშე, თუმცა ყველაფერს ორი მხარე აქვს. მაგალითად: ვერანაირი ციფრული ტექნიკა ვერ შეცვლის წიგნის კითხვით მიღებულ სიამოვნებას. თუმცა, უპირობოდ ვეთანხმები იმასაც, რომ ციფრული ტექნიკის განვითარებამ ადამიანს გაცილებით კომფორტულად აგრძნობინა თავი, ვიდრე წინათ.

- როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

- როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, ფიზიკური აქტივობით ვკავდები. ძალიან მიყვარს ველოსიპედით სეირნობა ზღვისპირა ზოლზე. ეს ჩემთვის ერთგვარი რელაქსაციაა.

- განათლების მინისტრი რომ იყოთ, რას შეცვლიდით სისტემაში?

- სიმართლე გითხრათ, მეუხერხულება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, არსებობენ უფრო კომპეტენტური ადამიანები, რომელთაც გაცილებით უკეთ შეუძლიათ ამ საკითხის გადაწყვეტა. ერთადერთი ვისურვებდი იმას, რომ ჩვენი განათლების სისტემა დაფუძნებული იყოს მოსწავლის სწორ განვითარებაზე, ყველა ბავშვს ჰქონდეს ხარისხიანი განათლების მიღების უფლება, ანუ განათლება განათლებისთვის. მყარი საფუძველი შეუქმნას უმაღლესი სწავლებისას თითოეულ მათგანს, მოამზადოს მოსწავლე მომავალი ცხოვრებისთვის, სადაც განუწყვეტელი ბრძოლა და შეუპოვრობაა საჭირო.

- თავად დაუსვით თავს კითხვა, რომელიც გაფიქრებთ და უპასუხეთ...

- ჩემს თავს ხშირად ვუსვამ კითხვას, რამდენად სწორად ავირჩიე პროფესია. პასუხიც ყოველთვის დადებითია, რადგან მოსწავლე არის ის პიროვნება ჩემთვის, ვისთანაც დაღლა, მობეზრება, დანებება და მოწყენა არ შემიძლია. პირიქით, ყველაზე ბედნიერად მათთან ვგრძნობ თავს. მათ ჩემთვის დადებითი ემოციური ფონის შექმნა შეუძლიათ. თითოეულ მათგანთან ურთიერთობა ჩემთვის სიხარულია და დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას მძენს. მოსწავლე და მასწავლებელი არ არის მხოლოდ საგაკვეთილო პროცესი, ეს ურთიერთობის ხელოვნებაა. ხშირად მქონია ისეთი შემთხვევა, როცა მოსწავლეებს მოუმართავთ რჩევისთვის, უკითხავთ, როგორ მოქცეულიყვნენ. ვფიქრობ, სწორედ ეს ურთიერთობაა ყველაზე ღირებული, როცა გენდობიან და შეგწევს ძალა, დაეხმარო მათ.

> *„ეს ყველაზე ძვირფასი ნაწილია ადამიანისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სჭირდება ზრუნვა, ფიქრი, საქმე და, რაც მთავარია, შედეგი. მახსენდება ასეთი გამონათქვამი „სამშობლოსათვის არაფერი გაგიკეთებია, თუ ყველაფერი არ გააკეთე მისთვის“. მთელი ჩვენი ცხოვრება შედეგი უნდა იყოს იმ ნაფიქრალისა თუ ნააზრევისა, რომელსაც მხოლოდ ერთი ობიექტი უნდა ჰყავდეს - სამშობლო*

აგრარული ექსტენციის ცენტრი – ბსუ-ში

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა, ბსუ-ის რექტორმა მერაბ ხალვაშმა, აჭარის ა რ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე აგრარული ექსტენციის ცენტრი გახსნეს

ცენტრის დაარსების მიზანია სოფლის მეურნეობის დარგების მხარდაჭერა, საზოგადოებისათვის აგრარული ექსტენციის მიწოდებაში უნივერსიტეტის როლის და მონაწილეობის გაძლიერება ბსუ-ის აკადემიური პირების და კვლევითი ცენტრების ბაზებზე განხორციელებული კვლევების ექსტენციის სხვადასხვა პროგრამად შემუშავებისა და განხორციელების მეშვეობით. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთვება სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, კლიმატთან ადაპტირებული მიდგომების შემუშავების და მეცნიერული კვლევების მიმართულებით. ცენტრი განახორციელებს ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამებს, სასკოლო და სტუდენტურ აქტივობებს, პრაქტიკოს ექსტენციონისტებთან ერთობლივ ინიციატივებს და სამეცნიერო პროექტებს. აგრარული ექსტენციის ცენტრი გაიხსნა აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ადგილობრივი პარტნიორია „მომავლის ფერმერი“. აგრარული ექსტენციის ცენტრის საქმიანობაში ჩართული იქნება ბსუ-ის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების აკადემიური პერსონალი, რომლებიც ამერიკელმა ექსპერტებმა გადაამზადეს. სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე ტექნოლოგიებით საველე პირობებში მუშაობის ტექნიკას, დარგში მიმდინარე მიღწევებსა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობას... აგრარული ექსტენციის ცენტრი გახსნა აშშ-ში ბსუ-ის დელეგაციის ვიზიტის დროს დაიგეგმა. 6-10 თებერვალს შეხვედრები გაიმართა ტეხასის და ოჰაიოს შტატებში აგრარულ ექსტენციაში ჩართულ სხვადასხვა ინსტიტუციის ხელმძღვანელებთან, მათ შორის ტეხასის შტატის ექსტენციის ცენტრის ჰიუსტონის წარმომადგენლობასთან; Prairie View A&M უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან; ოჰაიოს შტატის ექსტენციის ოფისთან; Central State უნივერსიტეტის პრეზიდენტთან, მენეჯმენტსა და აკადემიურ პერსონალთან; ტეხასის და ოჰაიოს შტატის იმ სკოლებთან, რომლებიც აგრარულ ექსტენციაში არიან ჩართულები.

აგრარული ექსტენციის ცენტრის გახსნის შემდეგ აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტში მონაწილე ბათუმის №№1 და 28 საჯარო სკოლების მოსწავლეებს შეხვდა და ცენტრის მნიშვნელობასა და პროფესიის არჩევის მნიშვნელობაზე ესაუბრა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

„მთავარი ჩემი კი არა, სკოლის წარმატებაა“

მზია გოგაძე *შუახევის საჯარო სკოლის დირექტორია. მას შარშან საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. მისი ხელმძღვანელობის წლებში სკოლა მოწინავე საგანმანათლებლო კერა გახდა.*

- ქალბატონო მზია, რა არის მთავარი, წარმატებული ხელმძღვანელი რომ იყო?

- ადამიანს სახელის მოსახვეჭად, ბუნებრივია, გარკვეული დრო სჭირდება, ზოგჯერ - მთელი ცხოვრება. როცა ახალბედა მასწავლებელი ვიყავი (პედაგოგიური ნათლობა მშობლიური გოგაძეების საშუალო სკოლაში მივიღე ჩემი აღმზრდელი პედაგოგების ხელდასმით), აღიარებული, დამსახურებული მასწავლებლების გაკვეთილებს ვუსმენდი, მათგან ვსწავლობდი. სახელის მოხვეჭა შეუძლებლად არა, მაგრამ რთულ და ხანგრძლივ პროცესად ნამდვილად მიმაჩნდა. ამასობაში, 31 წელი გავიდა. წარმატებული ხელმძღვანელი რომ იყო, ამისთვის საჭიროა გამოცდილ წინამორბედთა მუშაობის შესწავლა, სკოლის ტრადიციების პატივისცემა, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების მხარდაჭერა, წარმატებულ პედაგოგთა და მოსწავლეთა წახალისება, მათი საჭიროებების გათვალისწინება. თუმცა, ვფიქრობ, მთავარი ჩემი კი არა, ჩვენი სკოლის წარმატებაა.

- დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში, აჭარის მთიანეთში სკოლის პირველი დირექტორი ხართ, რომელმაც ეს წოდება მოიპოვეთ. რა განცდა დაგეუფლათ, როცა მასწავლებლის დღეზე მინისტრმა დიპლომის გადმოსაცემად გიხმოთ?

- მასწავლებლის დაფასება წარსულის პატივისცემაა, რამეთუ „ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“, აწმყოს სწორი ხედვაა, რადგან მასწავლებელზეა დამოკიდებული, როგორ თაობებს გაუზრდის სამშობლოს და ისინი რა წილს გაიღებენ მომავლის შენებაში. რასაც და როგორც ასწავლი, ისე იცხოვრებს ახალგაზრდობა. ამიტომ ნამდვილად სწორი კურსი აქვს აღებული ხელისუფლებას, რომელიც აფასებს მასწავლებლის ღვაწლს. როცა ქალბატონმა მაია ხაჯიშვილმა ხელში სიგელი აიღო და ძალიან სასიამოვნო კომენტარი გააკეთა, გამიხარდა, ვინც უნდა ყოფილიყო იმ დღის რჩეული, უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ, როცა მინისტრმა ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადა, საოცარი განცდა დამეუფლა. ეს ბედნიერი დღე ჩემს პატივცემულ მასწავლებლებსა და ჩემს საყვარელ მოსწავლეებს მივუძღვენი. მე ხომ წლების წინ ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, სულმნათი მუხამედ ბათაძის ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილმა გაკვეთილებმა გადამაწყვეტინა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა. ჩემზე მეტად მოსწავლეებს გაუხარდათ ეს აღიარება. მადლობა ხელისუფლებას, ჩემს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ყველამ ერთად მაჩუქა უსაზღვრო ბედნიერება.

- გზა, რომელიც ამ წოდების მოპოვებამდე განვლეთ...

- მასწავლებლად მუშაობა 1992 წელს, 18 წლის ახალგაზრდამ დავიწყე, შუახევის რაიონის განათლების განყოფილების მაშინდელმა გამგე თეიმურაზ დავითაძემ ნდობა გამომიცხადა და გოგაძეების საშუალო სკოლაში მე-5 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დამნიშნა. დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, მახსოვს და ყოველთვის მემახსოვრება ჩემი პირველი მოსწავლეები. უცნაური მღელვარება დამეუფლა, როდესაც „მასწავლებელო“ დამიძახეს. მაშინ მივხვდი, როგორი გამბედავი ვყოფილვარ, მშობლიურ სკოლაში შოთა ჯიბლაძის, მუხამედ ბათაძის, გივი შავაძის, ვაჟა ვახტანგიძის, ახმედ ბერიძის, ალექსანდრე ჯიბლაძის, ვაჟა და მურმან თურმანიძეების, დედაენის მასწავლებლების თამარა კახაძისა და ეთერ დავითაძის გვერდით გავიარე უმაღლესი პედაგოგიური სკოლა. მათგან შევითვისე პედაგოგის საოცარი თვისებები, მეთოდები და, რაც მთავარია, მოსწავლეების უსაზღვრო სიყვარული დავიმსახურე. შემდეგ ორ წელიწად-ნახევარი ოლადაურის საჯარო სკოლის, კონკურსის წესით შერჩეული დირექტორი გახლდით, თუმცა ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობას მაშინ ისევ პედაგოგობა მერჩია. იმ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სამი მასწავლებელი მუშაობდა, ამიტომ, როცა წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ხიჭაურის სკოლიდან შემოთავაზება მივიღე, მასწავლებლის პროფესიაში დაბრუნების სურვილმა მძლია და მივიღე შესაბამისი გადაწყვეტილება. ოლადაურის სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან დღესაც თბილი და ახლო ურთიერთობა მაქვს. 8 სასწავლო წელი დავყავი ხიჭაურის სკოლაში, სადაც მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, მისი დიდი მზრუნველობითა და სკოლის დირექტორის მოადგილის ნუგზარ ზოსიძის ძალისხმევით, დიდი და წარმატებული კოლექტივი შეიკრიბა. ეს სკოლა იყო ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე სასწავლო დაწესებულება, ინტელექტისა და მაღალი სულიერების სამჭედლო. იქ შევიძინე მეგობრები, რომელთა სიყვარული მასულდგმულებს. ახლა დაბა შუახევის საჯარო სკოლაში ვმუშაობ, სადაც მრავალი წარმატებული და გამოცდილი პედაგოგია, მათ გვერდით მუშაობა ძალიან სასიამოვნოა.

> ***„კარგად გვესმის, რომ პანდემიამ შეაფერხა ყველა დაგეგმილი აქტივობა, მაგრამ უკვე მეოთხე წელია, ამ პირობებში ვმუშაობთ. სასკოლო ცხოვრება საინტერესო რომ იყოს, საჭიროა სპორტული კომპლექსი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, მოკლედ, გამართული და თანამედროვე ინფრასტრუქტურა. იმედი გვაქვს, მეწარმე ნაკისრ ვალდებულებას უახლოეს თვეებში შეასრულებს“***

- არც სოფლის მეურნეობაა თქვენთვის უცხო. რა სიახლეებს გაიხსენებთ, რომელიც ახალგაზრდა ფერმერმა დანერგეთ?

- შუახევის მუნიციპალიტეტის ულამაზეს სოფელ გოგაძეებში დავიბადე და გავიზარდე. მშობლებმა და-ძმას შრომის სიყვარული გვასწავლეს. 20 წლის წინ ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი „იფადი“ პროგრამას ახორციელებდა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის წესების ევროპულ სტანდარტებზე გადასვლას, უხვი და ჯანსაღი პროდუქციის წარმოებას, სოფლად მცხოვრებთა ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადგილობრივ და მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას. პროგრამაში ოჯახით ჩავერთე. 1000 კვადრატულ მეტრზე 7 ტონა კარტოფილის უხვი მოსავალი მოვიყვანეთ... სამწუხაროდ, მაშინდელმა ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა პროგრამის გაგრძელებას, მით უმეტეს, რომ მაშინ ჩვენს ქვეყანას და მათ შორის, შუახევსაც, სოფლის მეურნეობის მაღალი კვალიფიკაციის კადრები ჰყავდა, ახლა კი ვუყურებთ ქართული სოფლების მოსახლეობისგან თანდათან დაცარიელებას... ხელისუფლებამ სოფელში ცხოვრება საინტერესო უნდა გახადოს, ხელი შეუწყოს სოფლის გაძლიერებას, ჩადოს თანხები მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამებში. მე გახლდით ამ ბოლო წლებში სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერების პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტის ავტორი, პროგრამა შუახევის მერიამ და ქალთა ოთახმა განახორციელა. მიხარია, რომ ყურადღება ექცევა ქალბატონთა აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იზრდება ქალის როლი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

- სამ წელზე მეტია, ძალიან რთულ პირობებში გიხდებათ მუშაობა...

- გეთანხმებით. 2019 წლიდან შენდება ახალი სკოლა. ვმუშაობთ სკოლა-პანსიონის შენობაში, საკმაოდ ვიწროდ ვართ. კარგად გვესმის, რომ პანდემიამ შეაფერხა ყველა დაგეგმილი აქტივობა, მაგრამ უკვე მეოთხე წელია, ამ პირობებში ვმუშაობთ. სასკოლო ცხოვრება საინტერესო რომ იყოს, საჭიროა სპორტული კომპლექსი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, მოკლედ, გამართული და თანამედროვე ინფრასტრუქტურა. იმედი გვაქვს, მეწარმე ნაკისრ ვალდებულებას უახლოეს თვეებში შეასრულებს და ნორმალურ პირობებში განვაახლებთ მუშაობას.

- მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქართული ენისადმი დამოკიდებულებას როგორ აფასებთ?

- ჩვენი მიდგომა ამ საკითხისადმი ძალზედ სათუთია, დიდი ილიასი არ იყოს „ენა საღვთო რამ არის, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ქართული ენის სიწმინდის დაცვა ყველას მოქალაქეობრივი ვალია, ამ შეგნებით ვზრდით მომავალ თაობას. სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გარდა, ქართული ენისა და ლიტერატურის 4 პედაგოგი მუშაობს, თითოეული მათგანი დიდ ყურადღებას უთმობს ენის გრამატიკული ნორმების სიღრმისეულ შესწავლას. ხშირად ნახავთ კლასებში გამოკრულ, მოსწავლეების ხელით დამზადებულ თვალსაჩინოებებს ქართული მართლწერის ნორმების დაცვის შესახებ და მიხვდებით, რა მოთხოვნებს პასუხობს საგანმანათლებლო პროცესი. მადლობა ამისათვის ყველა მოსწავლესა და ყველა პედაგოგს.

- ერთ-ერთია შუახევის საჯარო სკოლა, სადაც ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი შეიქმნა...

- ლიტერატურის მოყვარულთა კლუბის შექმნის ინიციატორი შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრია, იდეის მხარდამჭერი და დამფინანსებელი კი შუახევის მერია, საკრებულო და პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შუახევის რაიონული საბჭო. ჩვენი სკოლიდან მე და ჩემი კოლეგა ლია ქამადაძე, ასევე, ახალდაბის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მალვინა ზოიძე აქტიურად ვიყავით ჩართული კლუბის მუშაობაში. ლია კლუბის კურატორი გახლდათ, მე და მალვინა კი ფასილიტატორი მასწავლებლები. პროგრამის შემუშავებაში სამივე მასწავლებელი აქტიურად ვერთვებოდით, მოსწავლეებს წასაკითხად ვთავაზობდით ორ ტექსტს - ერთს მსოფლიო ლიტერატურიდან, მეორეს - ქართველი კლასიკოსების შემოქმედებიდან.

- ერთ თვეზე ცოტა მეტი და მეთორმეტეკლასელებს ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლას დავულოცავთ. სასკოლო რეფორმის ფონზე, რას აკეთებთ ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციისთვის?

- ჩვენი სკოლა უკვე წლებია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფესიულ ორიენტაციას. ამ თემაზე საუბარს ვიწყებთ მე-8 კლასიდან. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული პროფესიულ კოლეჯებთან: „ბლექსი“ და „ახალი ტალღა“. ჩვენი სკოლის მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეები ერთი სემესტრის განმავლობაში ეცნობიან გიდის ხელოვნებასა და სატყეო საქმეს. სკოლა ასევე დიდ ყურადღებას უთმობს სტაჟირების პროგრამებს. რამდენიმე დღის წინ მე-10 კლასის მოსწავლეებმა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებთან და ფიზიკის მასწავლებელ ნანული ქარცივაძესთან ერთად „შუახევიჰესი“ დაათვალიერეს, მათთვის საინტერესო კითხვებზე მიიღეს ამომწურავი და კომპეტენტური პასუხები და, რაც მთავარია, დიდად დაინტერესდნენ ენერგეტიკოსის პროფესიით.

- ერთხანს შუახევის საჯარო სკოლიდან მოსწავლეები სხვა სკოლებში გადადიოდნენ. როგორ დაძლიეთ ეს პრობლემა?

- მოსწავლისა და მშობლის უფლებაა, ისწავლოს მისთვის სასურველ სასწავლო დაწესებულებაში, არჩევანი არავის ეზღუდება, წლების წინ მოსწავლეები ჩვენი სკოლიდან ხიჭაურის გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში მასობრივად გადადიოდნენ, თუმცა, შემდეგში პროცესი ჩვენი სკოლის სასარგებლოდ შემოტრიალდა. ამის მიზეზი ჩვენი სკოლის მასწავლებელთა მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებაა. სკოლამ პანდემიის პირობებში სწრაფად აუღო ალღო დისტანციური სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს. ეს წარმატება სკოლის დირექტორის მოადგილე ივერ მუკუტაძის მაღალმა პროფესიონალიზმმა განაპირობა.

- სპორტსა და ხელოვნებაში ადრე მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად რას აკეთებთ?

- ჩვენი სკოლა წლების განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა სპორტულ ცხოვრებას. მუნიციპალურ პირველობებზე მძლეოსნობაში, ფეხბურთსა და კალათბურთში სულ საპრიზო ადგილებზე გავდიოდით. მაჩვენებლები დიდად არ შეცვლილა იმის მიუხედავად, რომ სკოლას ამ ეტაპზე ადგილზე არ აქვს საწვრთნელი ბაზა. ყველაზე მეტად, გაჭიანურებულმა მშენებლობამ დაგვაყენა სიძნელეების წინაშე. ჩვენმა გუნდმა რესპუბლიკურ პირველობებზეც რომ წარმატებით იასპარეზოს, საჭიროა შესაბამისი საწვრთნელი ბაზები.

ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებისთვის

ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება-ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შარშან მნიშვნელოვანი საქმეები გაკეთდა, მათ შორის, 9 ბენეფიციარი დაფინანსდა. პროგრამა წელსაც იმუშავებს, რასაც საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა მიეძღვნა.

სხდომას კომისიის თავმჯდომარე, ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე უძღვებოდა.

მალე ახალი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსი გამოცხადდება, მანამდე კი ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყობა საინფორმაციო კამპანია, რითაც მოსახლეობას დეტალურად მიეწოდება ინფორმაცია პროგრამის შესახებ, დაიბეჭდება საინფორმაციო ბროშურები.

- პროგრამის განხორციელების მიზანია, ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, რაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს. მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა და 30 ათას ლარს შეადგენს, - გვითხრა იმედა ვასაძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

რა უნდა ვიცოდეთ ჩუტყვავილაზე და რა მითები არსებობს საზოგადოებაში?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბოლო ხანებში საკმაოდ გახშირებულია ჩუტყვავილას შემთხვევები. რა თქმა უნდა, ეს ახალი დაავადება არ არის, თითქოს მასზე ყველაფერი ცნობილია, თუმცა საზოგადოებას მაინც ბევრი შეკითხვა აქვს და მითებისაც სჯერა

ამ საკითხთან დაკავშირებით მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ინფექციონისტ ***მაია ბუწაშვილს*** *რამდენიმე კითხვით მივმართეთ.*

- ქალბატონო მაია, კონტაქტიდან რამდენ ხანში ვითარდება გამონაყარი?

- კონტაქტიდან, პერიოდი, სანამ დაავადება ან გამონაყარი განვითარდება, არის 2 კვირა. თუმცა, შეიძლება იყოს 10 დღემდე შემცირებული, ან 21 დღემდე გახანგრძლივებული. საშუალოდ, ჩუტყვავილის მქონე პაციენტის კონტაქტიდან 2 კვირაში ვითარდება გამონაყარი.

- როგორ გადადის ეს დაავადება და რამდენ ხანს არის პაციენტი გადამდები?

- დაავადება ძალიან ადვილად გადამდებია. შეიძლება ითქვას, რომ წითელას შემდეგ, ეს არის ყველაზე ადვილად გადამდები ვირუსი. იგი შეიძლება ჰაერის გზით და კონტაქტური გზითაც გადავიდეს, ანუ შეხებით. ადამიანი გადამდები არის იქამდე, სანამ აქვს ბუშტუკოვანი გამონაყარი. როდესაც ბუშტუკები მთლიანად დაიფარება „ფუფხებით“, უკვე ადამიანი გადამდები აღარ არის. ეს დაახლოებით გამონაყარიდან 7 დღის განმავლობაში ხდება. ასევე, ადამიანი გადამდებია გამონაყარამდე, 2 დღის განმავლობაში.

- რამდენად საშიშია ჩუტყვავილა?

- უმრავლეს შემთხვევაში, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში, მსუბუქად ჩაივლის, თუმცა მოზრდილებში და იშვიათად ბავშვებშიც, შეიძლება გარკვეული გართულებები განვითარდეს. საკმაოდ ხშირი გართულებაა კანის ბაქტერიული ინფექციები, ანუ კანის ჩირქოვანი ინფექცია. როდესაც ვირუსით დაზიანებულ კანზე დაერთვება ბაქტერიული ინფექცია და განვითარდება ჩირქოვანი ელემენტები, შეიძლება ტემპერატურის მეორე ტალღაც მივიღოთ. ასეთ დროს საჭირო ხდება ანტიბიოტიკოთერაპიის ჩარევა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩუტყვავილის მქონე ადამიანს ჰქონდეს მუდმივად სუფთა კანი, რომ არ მოხდეს ბაქტერიული ინფექციის თანდართვა. კიდევ ერთი გართულება, რაც შეიძლება ჩუტყვავილას ჰქონდეს, არის პნევმონია, ანუ ფილტვების ანთება, ამიტომ, თუ პაციენტს ხველა აქვს, ჯანდაცვის დაწესებულებებს უნდა მიმართოს. ჩუტყვავილის შესაძლო გართულება არის ასევე, ენცეფალიტი, ანუ თავის ტვინის ანთება.

- როგორ უნდა მოიქცეს ჩუტყვავილათი დაავადებული პაციენტი?

- უნდა იყოს სახლში, მოერიდოს სხვა ადამიანებთან კონტაქტს, განსაკუთრებით, პატარა ბავშვებთან. ასევე იმ ადამიანებთან, რომლებსაც აქვთ რომელიმე იმუნიტეტის დაზიანებით მიმდინარე ან ქრონიკული დაავადება. ხშირად ადამიანებს ჰგონიათ, რომ ჩუტყვავილა გადატანილი აქვთ და არ აღმოაჩნდებათ ხოლმე ანტისხეულები, ან პირიქით - ჰგონიათ, რომ არ აქვთ გადატანილი და აღმოაჩნდებათ ანტისხეულები. დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, ადამიანს ჩუტყვავილა გადატანილი აქვს თუ არა, თუ მას სისხლში აქვს ჩუტყვავილის ვირუსის საწინააღმდეგო ე.წ. ჯი კლასის ანტისხეულები. თუ ეს ანტისხეულები აქვს, რა თქმა უნდა დაცულია და აღარ დაემართება - ეს აქვს გადატანილი ინფექციის მქონეს, ასევე იმათ, ვისაც ჩუტყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია აქვთ ჩატარებული.

- არსებობს თუ არა ჩუტყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა?

- დიახ, არსებობს, თუმცა ამ ეტაპზე საქართველოში, სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი არ არის. ეროვნულ კალენდარში, ანუ გეგმურ ვაქცინაციაში არ შედის, შესაბამისად, ბავშვები საქართველოში ამ მხრივ არ იცრებიან. სხვადასხვა დროს ჩნდება ხოლმე კომერციული ვაქცინა, მაგრამ ამჟამად, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ხელმისაწვდომი არ არის. ბევრ ქვეყანაში ჩუტყვავილას ვაქცინა ჩვეულებრივ ვაქცინაციის კალენდარშია და ბავშვები 1 წლის ასაკიდან იცრებიან. შემდეგი რევაქცინაცია 4-დან 6 წლამდე ასაკში ხდება ან იმ მოზრდილებს ცრიან, ვინც ბავშვობაში არ არის ვაქცინირებული, არ აქვს ანტისხეულები და არა აქვს გადატანილი ჩუტყვავილა. ასე რომ, ნებისმიერ ასაკში, თუ ადამიანს არ აქვს იმუნიტეტი ჩუტყვავილას მიმართ, შეიძლება აიცრას.

- რამდენად საშიშია ჩუტყვავილა ორსულობის დროს?

- ორსულობის დროს ამ დაავადებამ ადამიანს შეიძლება პრობლემები შეუქმნას. ამიტომ ქალები, ვისაც არ აქვს ანტისხეულები, საფრთხის წინაშე არიან. ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებებში ვინც მუშაობს, განსაკუთრებით, საბავშვო ბაღებში და სკოლებში, მათ კონტაქტი აქვთ ჩუტყვავილის დაავადების მქონე ბავშვებთან და არაერთი შემთხვევაა, როდესაც ორსულები ინფიცირდებიან. თუ ეს მოხდა 20 კვირამდე ვადაზე, გარკვეული რისკი არსებობს ნაყოფისთვის, ორსულობის პერიოდში, განსაკუთრებით ბოლოსკენ, თვითონ ორსულის ჯანმრთელობისთვის საკმად პრობლემური შეიძლება გახდეს. ამიტომ ორსულს, რომელსაც ჩუტყვავილა დაემართება, სამედიცინო დახმარება სჭირდება.

- ჩუტყვავილას დროს პაციენტი მედიკამენტურ მკურნალობას თუ საჭიროებს?

- არსებობს ჩუტყვავილის ვირუსის საწინააღმდეგო ანტივირუსული მედიკამენტები, თუმცა თუ მსუბუქად მიმდინარეობს დაავადება, საჭირო არ არის. ეს ექიმმა უნდა შეაფასოს. თუ პაციენტს გარკვეული რისკი აქვს, რომ ჩუტყვავილას შეიძლება გართულებები მოჰყვეს (მაგალითად ორსულობის შემთხვევაში), ანტივირუსული თერაპია ინიშნება. რაც შეეხება სიმპტომურ მკურნალობას, ასეთ დროს ტემპერატურა საკმაოდ ხშირია და შეიძლება პაციენტმა სიცხის დამწევი, ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები მიიღოს, რომ სიტუაცია შეიმსუბუქოს და ნაკლები დისკომფორტი ჰქონდეს.

- როგორ ხდება ჩუტყვავილას დიაგნოზის დასმა?

- ხშირ შემთხვევაში, ჩუტყვავილა ძალიან ტიპურად მიმდინარეობს და ზოგჯერ ექიმმა შეიძლება სიმპტომებით დასვას დიაგნოზი, თუმცა, საკმაოდ ხშირია, როდესაც ჩუტყვავილაზე აქვთ ეჭვი და არ დასტურდება. არსებობს ჩუტყვავილის დიაგნოსტიკა, ეს არის კანის ნაცხის, ანუ ბუშტუკებიდან აღებული მასალის PCR-ტესტი. ანალოგიურად, ბევრ სხვა დაავადებებზე ტარდება PCR-დიაგნოსტიკა, მათ შორის, ჩუტყვავილაზეც. ასევე, სისხლში ანტისხეულების განსაზღვრა ხდება.

- უნდა ვაბანაოთ თუ არა დაავადებული? არსებობს მითი, რომ ასეთ დროს დაბანა არ შეიძლება...

- ზოგადად, ეს მითი ბევრ სხვა ინფექციაზეა, განსაკუთრებით, ე.წ. ბატონებზე. ეს ჯერ კიდევ შემორჩენილია საქართველოში და არიდებენ ხოლმე პაციენტს დაბანას. ეს რა თქმა უნდა, არანაირად არ არის გამართლებული. ჩუტყვავილას, ისევე როგორც სხვა ყველა გამონაყარით მიმდინარე ინფექციის დროს, დაბანა პირიქით - აუცილებელია, თანაც, ყოველდღიურად, რომ არ მოხდეს ბაქტერიული ინფექციების თანდართვა. რა თქმა უნდა, ცხელ აბაზანაში ჩაწოლა არ არის რეკომენდებული, მაგრამ შხაპი აუცილებელია. ასეთ დროს სასურველია შედარებით მსუბუქი საპონი, ჰიპოალერგიული გამოვიყენოთ, შეიძლება საბავშვო საპონი და დასაბანი გელებიც.

- კიდევ ბევრი მითი არსებობს საზოგადოებაში, რომლებზეც ხშირად საუბრობთ და კრიტიკის ქარცეცხლშიც ხვდებით...

- დიახ, რამდენიმე ხნის წინ ჩემმა მოსაზრებამ, რომ სხვადასხვა „ჰაერის მონაცვლეობის“ აუცილებლობა ბავშვის ჯანმრთელობისთვის მითია, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და ბევრისგან რისხვა დავიმსახურე. ბრალი დამედო წინაპართა შეურაცხყოფაში. იყო ამ შინაარსის საყვედურები: „როგორ, ჩვენმა წინაპრებმა უკეთესად არ იცოდნენ, რომელი ჰაერია უკეთესი და რისი განკურნება შეუძლია?“. მე შეურაცხყოფა ის უფრო მგონია, პროგრესსა და კვლევებზე უარი ვთქვათ და, როგორც ჩვენს წინაპრებს სჯეროდათ, შელოცვებით ვუმკურნალოთ (ესეც ხომ საუკუნეების განმავლობაში აპრობირებული მეთოდი იყო), ან რატომ ასევე, არავის დაუდგენია, გინდა თუ არა, ეს სუფთა ჰაერი 21 დღე უნდა ისუნთქო. 25 ან 30 დღე რომ ისუნთქო, სუფთა ჰაერის ნორმას გადააჭარბებ? ალბათ, ახლა რასაც ვიტყვი, ამისთვის „კალაშნიკოვს“ დამიმიზნებენ, მაგრამ აბასთუმანი, ასევე ულამაზესი ბუნებით და საოცრად სუფთა ჰაერით, ტუბერკულოზს არ კურნავს. ვისაც ეს სჯერა, ის მაინც სვამს ანტიტუბერკულოზურ მედიკამენტებს და სწორედ ეს მედიკამენტები კურნავს და არა ჰაერი. აბასთუმანში დასვენებას რა სჯობია, მაგრამ ტუბერკულოზისგან ისინიც ზუსტად ისევე იკურნებიან, ვინც თავის ცხოვრებაში აბასთუმანში არ ყოფილან. კურორტების თემაზე ადამიანებისგან ბუნებრივი რეაქცია იყო, რადგან ბევრისთვის ეს ცნობილი კურორტები იმდენად მყარად არის ასოცირებული ზოგი დაავადების „განკურნებასთან“, რომ ამ სტერეოტიპის შეცვლა დიდხანს შეუძლებელი იქნება. ჩემგან ამის მცდელობა არც იყო. იდეა სულ სხვაა და, საბედნიეროდ, ბევრმა სწორად გაიგო, რისთვისაც დიდი მადლობა. მე სხვა რამემ უფრო დამაფიქრა, მეხმაურებოდნენ ექიმები, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურად მედავებოდნენ იმაზე, რომ სამეცნიერო კვლევები საჭირო არ არის და „მშობელმა უკეთ იცის, ბავშვს რა ჭირდება“, მე, უცოდინარმა, არ ვიცი, რომ კუროორტოლოგია მეცნიერებაა და ეს მეცნიერება ამტკიცებს, რომ, მაგალითად, „ბრონქების განკურნება ზოგიერთი კურორტის ჰაერით არის შესაძლებელი“. როდესაც ვთხოვდი, შესაბამისი სამეცნიერო მტკიცებულებები გაეზიარებინათ, ამას არ/ვერ აკეთებდნენ. ამ ლოგიკით მედიკამენტების კვლევებიც საერთოდ არ ყოფილა საჭირო, თუ ადამიანებმა უკეთ იციან, რა „მოუხდებათ“. ზუსტად ასე მსჯელობენ ექიმბაშები და ბევრი ადამიანის ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებენ. მოკლედ, სამედიცინო მითები ჩვენს ირგვლივ უამრავია. მთავარია, ამ მითებმა ადამიანებს ცხოვრება არ გაურთულოს და ზოგიერთ შემთხვევაში ჯანმრთელობაზე დამაზიანებელი გავლენა არ იქონიოს (ასეც ხდება ხოლმე).

> ***„არავის დაუდგენია, გინდა თუ არა, ეს სუფთა ჰაერი 21 დღე უნდა ისუნთქო. 25 ან 30 დღე რომ ისუნთქო, სუფთა ჰაერის ნორმას გადააჭარბებ? ალბათ, ახლა რასაც ვიტყვი, ამისთვის „კალაშნიკოვს“ დამიმიზნებენ, მაგრამ აბასთუმანი, ასევე ულამაზესი ბუნებით და საოცრად სუფთა ჰაერით, ტუბერკულოზს არ კურნავს. ვისაც ეს სჯერა, ის მაინც სვამს ანტიტუბერკულოზურ მედიკამენტებს და სწორედ ეს მედიკამენტები კურნავს და არა ჰაერი***

საქართველოს 2 მოქალაქის უკანონოდ დაკავების მცდელობა

გუშინ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვრინისის მიმდებარედ, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა საქართველოს ორი მოქალაქის უკანონოდ დაკავება სცადეს, რომლებმაც თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს. ამის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა. მასში აღნიშნულია, რომ პოლიციის თანამშრომლების დაუყოვნებლივ გამოჩენისთანავე რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებმა ტერიტორია სწრაფად დატოვეს.

„ამჟამად მოქალაქეები ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებიან და მათ საფრთხე არ ემუქრებათ. მოქალაქეები, გამოკითხვის მიზნით, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში იმყოფებიან.

აღნიშნული მძიმე ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გააქტიურდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ ოპერირებული ცხელი ხაზი. ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა საერთაშორისო პარტნიორებსა და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს.

ცენტრალური ხელისუფლება, მკაცრად დააყენებს აღნიშნულ საკითხს მიმდინარე წლის 27 აპრილს ერგნეთში დაგეგმილ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მორიგ შეხვედრაზე. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისევე როგორც საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ჩადენილ ყველა დესტრუქციულ ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საოკუპაციო ძალას. მსგავსი უკანონო ქმედებები უკიდურესად აზიანებს რეგიონში არსებულ უსაფრთხოების მყიფე გარემოს“, - აღნიშნულია სუს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/04/23, 20 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბათუმი კონტაქტურ კარატეში მნიშვნელოვან ტურნირს უმასპინძლებს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბოლო რამდენიმე წელია, ჩვენი რეგიონის ახალგაზრდები, რომლებიც კონტაქტურ კარატეს ეუფლებიან, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებზე სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ეს წარმატებები 2016 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც მათ მწვრთნელი ლევან ცინცაძე ავარჯიშებს. იგი არა მხოლოდ აჭარის სპორტსმენებს უდგას გვერდით, არამედ მესამე წელია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია

როგორც გვითხრა, ამ ხნის განმავლობაში მისმა ბიჭებმა არაერთხელ მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს. უკვე შემდგარი კარატისტები არიან კადეტებსა და ჭაბუკებში ევროპის ოთხგზის ჩემპიონი დავით მსხალაძე, ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონი მინდია მგელაძე (ის პირველი ქართველია, ვინც ჭაბუკებში ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა კონტაქტურ კარატეში), ახალგაზრდებსა და იუნიორებში ჩემპიონი დათა ფუტკარაძე, რომელიც შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალისტია.

აღსანიშნავია, რომ შარშან ამ ახალგაზრდებმა პირველად იასპარეზეს დიდებში და მათგან მინდია მგელაძემ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, დავით მსხალაძემ კი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაო მოიპოვა. რამდენიმე დღის წინ შვედეთის ქალაქ გეტერბორგის ევროპის ჩემპიონატიდან (დიდებში) ჩვენი ბიჭები კვლავ წარმატებით დაბრუნდნენ, სადაც 400-მდე სპორტსმენი იბრძოდა პირველობისთვის. აქაც მინდია მგელაძემ მესამე საპრიზო ადგილი აიღო. დავით მსხალაძემ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. აღსანიშნავია, რომ ეს სპორტსმენები ევროპის ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენებს შორის ყველაზე ახალგაზრდები არიან და ორივემ საპრიზო ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრები ათკაციანი შემადგენლობით გამოდიოდა, აქედან ოთხი აჭარის ფედერაციის წარმომადგენელი იყო. ჯამში, საქართველოს ნაკრებმა სამი მედალი აიღო და აქედან ორი აჭარის სპორტსმენებმა მოიპოვეს, გუნდურ ჩათვლაში კი მეოთხე ადგილი დაიკავეს.

საერთაშორისო ტურნირს კონტაქტურ კარატეში „ბათუმი ოუფენი“ ჩვენი ქალაქი 5 მაისიდან სამ დღეს უმასპინძლებს, მასში მონაწილეობას მიიღებს 11 ქვეყანა. ბათუმში ჩამოვლენ ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები და პრიზიორები ისეთი წამყვანი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ლიეტუვა, ლატვია, ყაზახეთი, ხორვატია, უნგრეთი, პოლონეთი... ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი სპორტსმენების სპორტული დონის ამაღლებისთვის, ისე ახალბედა სპორტსმენების გამოცდილებისთვის, ამავდროულად, სპორტის მასობრიობასაც შეუწყობს ხელს და ამ სახეობის პოპულარობას გაზრდის. ამიტომაა ჩვენთვის ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირების მასპინძლობა.

- უცხოელები ხშირად მონაწილეობენ მაღალი დონის ტურნირებში, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს ბათუმში ჩამოსვლა და ეს ქართველი სპორტსმენების ბოლოდროინდელმა წარმატებებმაც განაპირობა. ამავდროულად, ეს მათი მხრიდან ჩვენი მხარდაჭერაა. შეჯიბრება სამ ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართება - 16, 18 და 18 წელზე უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის როგორც ვაჟებში, ისე გოგონებში. რახან ტურნირი საქართველოში ტარდება, უფრო მეტ აქაურ სპორტსმენს ეძლევა მონაწილეობის შესაძლებლობა. საქართველოდან სულ 80 კარატისტი იასპარეზებს, აქედან ნახევარი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წარმომადგენელია და მათგან 20 აჭარის ნაკრების სპორტსმენი იქნება. ამიტომ ძალიან კარგია, რომ ამგვარი ტურნირი ჩვენთან ტარდება, გამოცდილების გარდა, გულშემატკივარს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების ორთაბრძოლების ადგილზე ნახვის შესაძლებლობა მიეცემა, მას სხვა პლუსიც აქვს - როცა საკუთარ მოედანზე გამოდიხარ თანაგუნდელებთან ერთად, მთელი დარბაზი გგულშემატკივრობს, მეგობრები, ახლობლები, მშობლები... ამას დიდი ემოცია ახლავს, ყველასთვის სასიამოვნო წუთებია. შეჯიბრება სანახაობრივადაც საინტერესო იქნება და ძალიან მაღალ დონეზე წარიმართება - გამარჯვებულ სპორტსმენთა ქვეყნების დროშები აღიმართება, რასაც ასობით მაყურებელი პირდაპირი ეთერით აჭარის ტელევიზიით იხილავს. ბათუმში ტურნირში

მონაწილე ყველა ქვეყნის მსაჯი ჩამოვა, რაც ასევე მნიშვნელოვანია. მოწვევით ჩამოვა ევროპის ფედერაციის კონტაქტური კარატეს პრეზიდენტი, ევროპის მსაჯთა კომისიის ხელმძღვანელი და რამდენიმე წევრი. მსაჯთა კოლეგია უცხოელებით იქნება დაკომპლექტებული, რაც ობიექტურობას და სამართლიანობას კიდევ უფრო ზრდის. ღონისძიებას მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე უმასპინძლებს. კონტაქტურ კარატეში ასეთი მასშტაბური ტურნირი ჯერ არ ჩატარებულა, არც ამდენი ქვეყნის სპორტსმენი ჩამოსულა ჩვენთან, - გვითხრა ლევან ცინცაძემ.

შოთა ფარტენაძის ბრინჯაო

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ხორვატიის ქალაქ ზაგრებში ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში საქართველოს წარგზავნილებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს

ამ წარმატებაში თავისი წილი შეიტანა ქედის სასპორტო სკოლის მოჭიდავემწვრთნელმა შოთა ფარტენაძემ. იგი 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილეობდა. ფალავანმა მესამე ადგილისთვის პაექრობაში უკრაინელი ტარას მარკოვიჩი ანგარიშით 6:5 დაამარცხა.

ამ გამარჯვებით შოთამ თავისი მონაგარი კიდევ ერთი მედლით გაამდიდრა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერია მოჭიდავეს ულოცავს ამ წარმატებას და შემდგომ გამარჯვებებს უსურვებს.

მსოფლიოს ჩემპიონი... „ნაპოლიში“?

Radio Kiss Kiss Napoli-ს ეთერში ვალტერ დე მაჯომ განაცხადა, რომ „აძურის" სპორტული დირექტორი კრისტიანო ჯუნტოლი ერთ ნაბიჯშია ამერიკული „ატლანტა იუნაიტედისა“ და არგენტინის ნაკრების 21 წლის შემტევ ნახევარმცველ ტიაგო ალმადას შეძენასთან. მხარეები ბოლო დეტალებზე მუშაობენ. ჯერჯერობით კონკრეტული დეტალები არ ხმაურდება. ალმადას შეუძლია შეტევაში ორივე ფლანგზე და, ასევე, გამთამაშებლად თამაში. მისი კარიერა „ველეზ სარსფილდში“ დაიწყო, ხოლო 2022 წლიდან MLS-ში თამაშობს, სადაც 37 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა.

ტიაგო ალმადას არგენტინის ნაკრებში 3-ჯერ აქვს ნათამაშები (1 გოლი). ის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც ფლობს, რადგან გასული წლის ბოლოს კატარში გამართულ მუნდიალზე „ალბისელესტეს“ განაცხადში იყო.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

შეერთებულმა შტატებმა უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის დახმარების ახალი, 325 მილიონი დოლარის ღირებულების პაკეტი გამოაცხადა. იგი მოიცავს HIMARS-ის საბრძოლო მასალებს, 155 მმ და 105 მმ-იან საარტილერიო ჭურვებს, TOW-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტებს, AT-4 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებს, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს, 9 მილიონზე მეტ ვაზნას, ლოგისტიკური მხარდაჭერის 4 მანქანას, მაღალი სიზუსტის საავიაციო საბრძოლო მასალებს. ამასთან, დახმარების ახალი პაკეტის ფარგლებში, უკრაინა მიიღებს: საკონტროლო და სადიაგნოსტიკო აღჭურვილობას სატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და შეკეთებისთვის, აღჭურვილობას პორტებისა და ნავსადგურების დაცვისთვის, სათადარიგო ნაწილებს და სხვა საველე აღჭურვილობას. „შეერთებული შტატები გააგრძელებს მუშაობას თავის მოკავშირეებთან და პარტნიორებთან, რათა უკრაინა უზრუნველყოს შესაძლებლობებით, რომელიც დააკმაყოფილებს ბრძოლის ველზე მის გადაუდებელ საჭიროებებს და უკრაინის უსაფრთხოებისთვის გრძელვადიანი დახმარების მოთხოვნებს“, - აღნიშნულია პენტაგონის განცხადებაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინას, საკუთარი ცის დასაცავად, უკვე ძალიან სერიოზული იარაღი აქვს. „სახელმწიფო დონეზე ყველაფერი კეთდება რუსული დარტყმებისგან თავდაცვის უნარის ასამაღლებლად. საჰაერო თავდაცვის სისტემები და ცის დასაცავად განკუთვნილი სხვა იარაღი უკვე უკრაინაშია, ისინი მართლაც სერიოზულია. მაგრამ უნდა იყვნენ - და, დარწმუნებული ვარ, იქნებიან - კიდევ უფრო ძლიერი“, - აღნიშნა ზელენსკიმ. ამასთან, უკრაინის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა შეერთებულ შტატებს სამხედრო დახმარების კიდევ ერთი პაკეტისთვის, რომელიც 19 მარტს გამოცხადდა.

* * *

უკრაინის საკვანძო მოკავშირეები, მათ შორის აშშ-იც განიხილავს რუსეთში ექსპორტის თითქმის სრულად აკრძალვის შესაძლებლობას. „ბლუმბერგის“ ცნობით, აღნიშნული იდეა დიდი შვიდეულის სამიტის მოახლოების კონტექსტში განიხილება, რომელიც 18 მაისს იაპონიაში აიღებს სტარტს. ერთ-ერთი ვერსიით, მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებას დიდი შვიდეულის ფორმატში მიიღებენ, იგივე ზომებს მიმართავენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიც. „ბლუმბერგის“ მიერ მომზადებულ მასალაში ნათქვამია, რომ მსგავსი ნაბიჯი ამოაყირავებს სანქციების არსებულ რეჟიმს - აიკრძალება თითქმის ყველაფრის ექსპორტი, დაშვებული პროდუქტების მცირე ჩამონათვალის გარდა, ამ დროისთვის მოქმედი სანქციები კი საპირისპირო პრინციპით მოქმედებს - შესაძლებელია ყველაფრის ექსპორტი, გარდა სანქცირებული ტვირთებისა. თუკი მხარეები საკითხზე თანხმობას იაპონიის სამიტზე მიაღწევენ, მოსალოდნელია, რომ იქვე შეთანხმდებიან ექსპორტისთვის დაშვებული ტვირთების ჩამონათვალზეც. მოსალოდნელია, რომ შეზღუდვები არ შეეხება სამედიცინო პრეპარატებს და სურსათს.

* * *

უკრაინის დედაქალაქში, კიევის, ჩერნიგოვის, ჟიტომირის, ვინიცის, ლვოვის, ტერნოპოლის, ხმელნიცკის, სუმისა და პოლტავის ოლქებში საჰაერო განგაში გამოცხადდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, კიევის რეგიონალურმა სამხედრო ადმინისტრაციამ მოსახლეობა „კამიკაძე“ დრონების შესაძლო თავდასხმის შესახებ გააფრთხილა. „კიევის ოლქი! მტრის დრონებით თავდასხმის საფრთხე! მოვუწოდებთ მოსახლეობას, დარჩნენ უსაფრთხო ადგილებში საჰაერო თავდასხმის სიგნალის დასრულებამდე. იზრუნეთ საკუთარ თავსა და ახლობლებზე!“ - აცხადებენ კიევის სამხედრო ადმინისტრაციაში. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრიი ერმაკმა, ასევე მოუწოდა მოსახლეობას, საჰაერო განგაში არ უგულებელყონ. მისი თქმით, კიევის ოლქში საჰაერო თავდაცვის სისტემა მუშაობს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ